ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის
სასწავლო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

თამილა ნიჟარაძე

იოსებ ნონეშვილის ცხოვრება და შემოქმედება

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ქართული ლიტერატურის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ეთერი დიასამიძე - ასოც. პროფ.

ხიჭაური

2019

ა ნ ო ტ ა ც ი ა

იოსებ ნონეშვილი იმ ქართველ პოეტთა რიცხვს ეკუთვნის, ვინც საინტერესო ბიოგრაფიული ცხოვრებითა და შემოქმედებით გამოირჩევა. პოეტი დიდი სამამულო ომის წლებში გამოჩნდა ლიტერატურულ ასპარეზზე და თავისი მართალი სიტყვით გამოხატა მისი ნააზრევი. იგი იყო უდიდესი ჰუმანისტი, გულანთებული მამულიშვილი, მხურვალე პატრიოტი და უზომოდ კეთილი ადამიანი. პოეტის კალამი მუდამ მომართული იყო მართალი სიტყვისთვის. თავისი პოეზია გამოირჩევა მხატვრული სისადავით, ლაკონურობით, მჟღერი ხმით, ამაღლებული გრძნობელობით. იგი უმღერის ქართველი ხალხის გმირულ შემართებას, საქართველოს წარსულს, აწმყოსა და მომავალს. პოეტის გულწრფელი შემოქმედება ყველა დროის მკითხველისათვის მისაღები და სასურველია. ჩვენ სწორედ იოსებ ნონეშვილის და მისი პოეზიის პოპულარიზაცია დავისახეთ მიზნად.

Annotation

Ioseb Noneshvili is among those Georgian poets who has creative and interesting biographic life. The poet appeared on the literary arena in the years of Great Patriotic War and expressed his opinion. He was the biggest humanist, patriot and very king human. His pen always wrote true words. His poetry was particular with laconicism, special voice and uplifted feelings. He sings for Georgian peoples heroic daring, past, present and future. Poets sincere creativity is desirable for readers of all time. Thus, we have already aimed Ioseb Noneshvili and his poetry to be more popular.

შ ი ნ ა ა რ ს ი

1. **შესავალი** ---------- 5

2. **I თავი**

იოსებ ნონეშვილი ქართულ ლიტერატურულ ცხოვრებაში და თანამედროვეთა მოგონებებში ---------- 7

3. **II თავი**

სატრფიალო ლირიკა იოსებ ნონეშვილის შემოქმედებაში ---------- 16

4. **III თავი**

პატრიოტიზმი და ხალხთა მეგობრობის თემატიკა იოსებ ნონეშვილის შემოქმედებაში ---------- 23

5. **IV თავი**

სამამულო ომის თემატიკა ი. ნონეშვილის შემოქმედებაში ---------- 32

6. **V თავი**

პოეტური მეტყველება და მხატვრული სახეები იოსებ ნონეშვილის შემოქმედებაში ---------- 38

7. **VI თავი**

მშობლიური ენის სიყვარული იოსებ ნონეშვილის შემოქმედებაში ---------- 48

8. **დასკვნა** ---------- 53

9. **გამოყენებული ლიტერატურა** ---------- 56

შესავალი

იოსებ ნონეშვილი მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის ქართული მწერლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემოქმედია. იგი მრავალმხრივი ინტერესების მქონე მწერალია. მშვენიერი და ამაღლებული ლირიკული სტრიქონების ავტორი, სიცოცხლეშივე აღიარებული და მოწონებული.

იოსებ ნონეშვილის შემოქმედებითი აქტიურობა დაახლოებით 1940-1980 წლებს მოიცავს. მისმა შემოქმედებამ დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა თანამედროვეთა შორის და ქართული ლიტერატურის მრავალფეროვან სპექტრში საკუთარი ადგილი დაიმკვიდრა.

იოსებ ნონეშვილი არის ავტორი უნაზესი ლირიკული სტრიქონებისა და ცეცხლოვანი შინაგანი ტემპერამენტით აღსავსე პატრიოტული ლექსებისა. იგი მხატვრულის სიტყვის უბადლო ოსტატია. იგი თავისი უზადო შემოქმედებით აგრძელებს ჩვენი დიდი ქართველი კლასიკოსების საუკეთესო ტრადიციებს. მისი ჩანგი ერთგულად და უანგაროდ, ხმიერად და სახოვნად ემსახურება ჩვენს ხალხს.

წარმოდგენილი ნაშრომი „ იოსებ ნონეშვილის ცხოვრება და შემოქმედება“, რომელიც მოიცავს მისი მოღვაწეობის ყველა მხარეს, ეხება ნონეშვილის როგორც პიროვნულ, ასევე პოეტურ მხარეს, მის თემატურ და იდეურ მხარეს. საბჭოთა სინამდვილე, შრომა, გამარჯვება, უცხოეთში მიღებული შთაბეჭდილებანი, პატრიოტიზმი და ინტერნაციონალიზმი , სატრფიალო ლირიკა-აი იოსებ ნონეშვილის თემები, მხატვრულად ესოდენ ბრწყინვალედ გადაწყვეტილი, ეს იმას ნიშნავს, რომ მის პოეტურ სიტყვას, მისი ლექსის სტრიქონებს შეუძლია, განავითაროს ადამიანში ჭეშმარიტი ვაჟკაცობა, სამშობლოს, საზოგადოების, აღძრას სხვადასხვა ერის სიყვარულის გრძნობა, საქართვლოს ისტორიის ცოდნის წყურვილი.

სამაგისტრო თემის მიზანი: უაღრესად გამორჩეული პოეტის თემატური განხილვა, მისი პრობლემატიკის ჯეროვანი ანალიზი. თემა ნაკვლევია **ისტორიულ -შედარებითი მეთოდით.**

თემის აქტუალობას განსაზღვრავს იოსებ ნონეშვილის შემოქმედების პოპულარობა. მისი განსხვავებული ხელწერა, მშვიდობის შენარჩუნება, ხალხთა

მეგობრობა. ნაშრომის მეცნიერული სიახლე განისაზღვრება უშუალოდ თემის აქტუალობის, საკვლევი მასალის კომპლექსური ანალიზის მეთოდოლოგიური საფუძვლებით. პოეტის შემოქმედებისა და მისი მოქალაქეობრივი მრწამსის აქცენტირებით.

პირველი თავი

იოსებ ნონეშვილი ქართულ ლიტერატურულ ცხოვრებაში და თანამედროვეთა მოგონებებში

მეოცე საუკუნის სამოციანი წლებიდან კალმით ერის მსახურის ფუნქციამ ახალი ნიუანსები შეიძინა. მკითხველმა სრულიად სამართლიანად მოსთხოვა პოეტს პრაქტიკოსის, საზოგადო მოღვაწის ტვირთის ტარება (მიშველაძე; 1990, 305).

მწერალს, თუ იგი ნამდვილი, ჭეშმარიტი მხატვარია, უფლება არა აქვს, მღელვარე ცხოვრების მიღმა იდგეს, თავს ირთობდეს წვრილმანი, ნეიტრალური თემებით. ჭეშმარიტი მწერალი ხალხის, ყოველი სიკეთისა და დოვლათის შემქმნელი ხალხის სიხარულითა და ტკივილით უნდა ცხოვრობდეს, შრომობდეს და მოღვაწეობდეს. ის, ვინც ახერხებს უშუალო შემოქმედებითი კონტაქტი დაამყაროს თავის ხალხთან, თავის მკითხველთან ხალხის მიერ აღიარებული მწერალი ხდება. მკითხველის აღიარება და მოწონება კი დიდი ჯილდოა მწერლისათვის. (ჭილაია ს. 1964:275)

მრავალ პოეტთა შორის, პიროფლიანად რომ იდგნენ სრულიად საქართველოს დროშის ქვეშ და ნიადაგ თვალმოუხუჭავნი ყურს უგდებდნენ მისი გულის ფეთქვას - ერთი იოსებ ნონეშვილი გახლდათ (მიშველაძე რ,1990: 305).

„ კახეთიდან მოდიოდა ბიჭი, წვრილკისერა, ფეხშიშველა ბიჭი,
თან მოქონდა გულით ობლის ხინჯი, ქვეყნის შიში, წუთისოფლის იჭვი,
თბილისისკენ მოდიოდა ბიჭი, ორი მწვანე, ორი მწვანე ბორცვის,
ორად ორი იმ საფლავის გარდა, არაფერი არ გააჩნდა ყმაწვილს,
შიშით შედგა საოცნებო კართან “

მურმან ლებანიძე

იოსებ ნონეშვილი დაიბადა 1920 წლის 19 აპრილს გურჯაანის რაიონის სოფელ კარდანახში. მამა -ელიოზ ილიას ძე ნონეშვილი (1890-1922წ) კარდანახელი გლეხი იყო, რომელიც იოსებს 3 წლის ასაკში გარდაეცვალა. დედა- მანანა თედოს ასული ხელაშვილი (1901-1936წწ) იმ დროის კვალობაზე უაღრესად განათლებული ქალი გახლდათ. იოსებ ნონეშვილი 1926 წლიდან პირველ დაწყებით შვიდწლიან განათლებას იღებს სოფელ კარდანახში, სწორედ იმ შენობაში, რომელიც თავისი მამის მიერ იყო

აგებული და სადაც დღეს პოეტის სახლ-მუზეუმია. პოეტმა სკოლაში შესვლამდე არა მხოლოდ წერა-კითხვა, არამედ ქართველი პოეტების უამრავი ლექსი ზეპირად იცოდა. შვილის ნიჭის განვითარებისთვის დედამ თბილისში გადასვლა გადაწყვიტა. იოსები მე-9 კლასში სწავლობდა, როცა დედა გარდაეცვალა. დედის სითბო და სიყვარული მთელი ცხოვრება დაჰყვებოდა საგზლად პოეტს. ეს უზომო თაყვანისცემა, მადლიერება მშობლისადმი ასეთი ფაქიზი სტრიქონებით გამოხატა მან ლექსში „დედა“:

დედავ-სიცოცხლის დიდო საწყისო,
დედავ- ცხოვრების ბურჯო მაგარო,
ეს გული შენი გულით ხალისობს,
შენი თვალებით ვხედავთ სამყაროს...
შენ დამილოცე ქვეყნად კაცობა,
თავზე ნამუსის ქუდი დამხურე,
სულ შენ გეკუთვნის თუ რამ მადლობა
და სიყვარული დავიმსახურე.

დედის გარდაცვალების შემდეგ ობლად დარჩენილ პოეტს გვერდში ედგნენ მისი მასწავლებლები. ხოლო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მისაღები გამოცდების დროს, როცა სხვა აბიტურიენტებს მშობლები ელოდნენ, პოეტს მისი მასწავლებლები გულშემატკივრობდნენ. ალბათ სწორედ ამიტომ არის ასეთი სითბოთი და სიყვარულით გამსჭვალული მისი ცნობილი ლექსი „ მასწავლებელი“:

მასწავლებელი-მშობლის ალერსით
ამოქარგული ტკბილი ანბანი
მასწავლებელი- ნორჩის თალებში
ჩაშუქებული ცოდნის ლამპარი...
მასწავლებელი ღამე უძილო
ნორჩებზე ფიქრით დაუშრობელი
მასწავლებელი ზოგჯერ უშვილო
მაგრამ ათასი ბავშვის მშობელი.

1933 წლიდან სწავლას განაგრძობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე. 1938 წელს გამოქვეყნდა პოეტის პირველი ლექსები, ხოლო 1940 წელს დაიბეჭდა პირველი კრებული „ლექსები“ („საბლიტგამი“). 1940 წელს მოხალისედ მიდის სამამულო ომში. 1941-1946წწ-ში ამიერკავკასიის ფრონტის მთელი რიგი საარმიო გაზეთების ლიტმუშაკად და პასუხისმგებელ მდივნად მუშაობდა. 1947 წლიდან ჟურნალ „ ნიანგის“ რედაქტორის მოადგილეა, ხოლო 1952-1963წწ-ში ჟურნალ „დილას“ რედაქტორი. 1963-1967წწ-ში „ლიტერატურულ გაზეთს“ რედაქტორობდა, 1967 წლიდან სიკვდილამდე საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივნად მუშაობდა. არჩეული იყო: - საქართველოს მშვიდობის დაცვის კომიტეტის თავჯდომარედ, საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის წევრად, საბჭოთა კავშირის მშვიდობის კომიტეტის პრეზიდიუმის წევრად, აზია- აფრიკის ქვეყნებთან სოლიდარობის კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტად, იტალიისა და საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების წევრად, საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის წევრად.

გარდაიცვალა 1980 წლის 6 ოქტომბერს. დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში. გარდაცვალების შემდეგ მიენიჭა შოთა რუსთაველის სახელობის პრემია. დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის ორდერითა და მედლებით(მიშველაძე რ. 1998:365-360).

თუ იოსებ ნონეშვილის ბიოგრაფიულ მომენტებს გავითვალისწინებთ, მოსალოდნელი იყო ,რომ იგი ადამიანთა შორის პირად დამოკიდებულებაში უფრო პირქუში და მკაცრი ყოფილიყო, ხოლო პოეზიაში უფრო ნაღვლიანი და მოწყენილი ,რადგანაც , მან ბავშვობიდანვე განიცადა ცხოვრებისეული სუსხი და მარტოობით გამოწვეული გულისმომწყვლელი სევდა. თუმცა ბუნებით თანდაყოლილი კეთილი სული არასოდეს შეცვლია. იგი დღემდე დარჩა როგორც გულისხმიერი მეგობარი , თბილი , კეთილშობილი მოქალაქე , მგზნებარე პატრიოტი („ჭოროხი“, 1978:N3:95).

ი. ნონეშვილი ქართულ პოეზიაში დიდი სამამულო ომის წინა წლებში გამოჩნდა. იმდროინდელი ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე მან ზედიზედ გამოაქვეყნა პატრიოტული და სატრფიალო ლირიკის რამდენიმე საუკეთესო ნიმუში , რითაც

სრულიად ახალგაზრდამ ქართულ ლიტერატურულ საზოგადოებაში დიდი ინტერესი გამოიწვია და იმთავითვე ნიჭიერი პოეტის სახელი დაიმკვიდრა.

იოსებ ნონეშვილმა ლიტერატურულ მესაზანდრედ იარა მთელი ცხოვრების მანძილზე და მისი მუღერი, სადღეგრძელოსავით ამღერებული, პუბლიცისტური პოეზია ერთფეროვან კანტანტად არასოდეს ქცეულა. იგი უაღრესად ფაქიზი სმენის პოეტი იყო და გარემოების საყვირის მისია აკაკისა და ვაჟას წმინდა მემკვიდრეობით ჰქონდა მიღებული. (მიშველაძე რ, 1998: 364)

ქალაქში მისი ყოველი გავლა დღესასწაული იყო. მას მთელი თბილისი ესალმებოდა და ისიც სათითაოდ ყველას ეფერებოდა. პოეტი არ იყო განსაკუთრებულად გათამამებული სახელმწიფო ჯილდოებითა და „ჩინმენდლებით“, მაგრამ ის უყვარდა ხალხს და სწორედ ეს გახლდათ მისთვის ყველაზე დიდი ჯილდო.(სულაბერიძე შ, 1966:)

ი. ნონეშვილი არ იყო ანალიტიკურად მოაზროვნე პოეტი, ფილოსოფიურ და ფსიქოლოგიურ სიღრმეთა მიმომკლეველი, მწვავე ვნებათა და პრობლემებით აღძრულ ფიქრთა გამომეტყველი. იგი სიცოცხლის მშვენიერების ღიმილიანი მომღერალი და მგალობელი გახლდათ, ცხოვრების სილამაზის აღტაცებული. მას თავის პოეტურ კარ-მიდამოში საამო ბაღი ჰქონდა გაშენებული, ნაირფერი ყვავილები გამოჰყავდა და ცდილობდა თვალი და გული დაეტკბო მნახველთათვის, სიხარული, აღტაცება, ხალისი მოეტანა მათთვის.

ნაღველი და სევდაც კი მის ლექსში თბილი და ალერსიანია, შუქის მხრიდანაა განცდილი, იმედისა და სიცილის ხმაზე ჟღერს და არასოდეს არ არის ღრუბლებით მოქუფრული (სულაბერიძე შ.1966,1).

ეს იყო პოეტი, რომელსაც საკუთარი წუხილით, დარდით სხვები არ დაუმძიმებია ღირსეულად ატარა თავისი ჯვარი-წუწუნისა და ზედმეტი ოხვრის გარეშე. ისე გამოდიოდა იგი ყოველ დილით სახლიდან, როგორც მსახიობი რამპის შუქზე თითქოსდა ოდნავ შემკრთალიც, დაძაბულიც:

ვით მსახიობი, რამპის მკვეთრ შუქზე, ისე გამოდის სახლიდან გარეთ...

რაგინდ სახმილი მოაწვეს გულზე, სახეზე წუხილს არ მიიკარებს.

ამ ლექსით პოეტმა ჩაგვახედა საკუთარი სულის სიღრმეში, გვიჩვენა, როგორი სევდა- ნაღველი იმალება მხიარული ნიღბის უკან. იოსებ ნონეშვილი იყო უსაშველოდ მგრძნობიარე, ყველა განცდა გულის გავლით მიდიოდა მასთან: „თავისი გულის სითბოს მარჯვნივ და მარცხნივ უსაზმანოდ აფრქვევდა; მრუდის და მართლის მონადირება ტკბილი სიტყვითა და კეთილი საქმით ეწადა.

ალბათ გინახავთ თვითდაჯერებული კაცის ნაბიჯები. იოსებ ნონეშვილს ასეთი ნაბიჯები არ ჰქონია. ხალხის საყვარელი პოეტი გალაღებული კაცის ნაბიჯებით კი არ დადიოდა, ფრთხილად დააბიჯებდა, გაფაციცებული მზერით შესცქეროდა ქვეყანას, მორცხვი ღიმილით შეჰყურებდა ყველას, ნერვიულად ატრიალებდა თავს, რომ სალამი არავის დაესწრო:

იგი რუსთაველზე ღიმილით მიდის, ნაცნობს თუ უცნობს დაასწრებს სალამს,

რადგან ქართველი, ამ მიწის მკვიდრი, საკუთარ და-ძმად ეგულვის მარად.

აკაკი თოფურია თავის წიგნში „ეტიუდები კრიტიკული ნააზრევიდან“ წერს: -„ ეს იყო 1969 წლის 7 აპრილს, იოსებ ნონეშვილის შემოქმედებით საღამოზე, რომელიც თვით ხალხმა ტრიუმფალურ საიუბილეო საღამოდ აქცია. იჯდა მომღიმარე და სვე-ბედით კმაყოფილი, სიცოცხლით სავსე მგოსანი შუაგულ სცენაზე, პატარა მაგიდასთან, გრიგოლ აბაშიძისა და ბესარიონ ჟღენტს შუა. იგი არ ჰგავდა ხანდაზმულ იუბილარს, ისე როგორც არ ჰგავდა იმ მეოცნებე, უწვერ-ულვაშო ჭაბუკს, რომელიც პირველად დაადგა პოეზიის კვარცხლბეკისაკენ მიმავალ დიდ და მთრთოლვარე გზას, რამდენ ასეთ საიუბილეო საღამოს დავსწრებივარ თბილისში და მაინც ეს საღამო განსაკუთრებულად დამამახსოვრდა. იგი იყო ისევე გულთბილი, ისევე გულწრფელი, ისევე გულგაშლილი, როგორც თვით იოსებ ნონეშვილის პიროვნება და შემოქმედებაა ერთად აღებული. აქ პატივისცემის, ხალასი გრძნობით იყო მოსული მისი თაყვანისმცემელი მკითხველი საზოგადოება, მისი თანამოკალმეები და ტოლ-მეგობრები, მისი შორეული და ახლობელი ნაცნობები გარინდულ დარბაზში იფრქვეოდა სურნელება გაზაფხულის იმ ყვავილებისა, რომლებიც პოეტის წინ ელაგა სავსე კალათებით.

...მიკროფონთან მუხრან მაჭავარიანი დადგა. თავისი ლაკონიური, ფრთიანი მისასალმებელი სიტყვა ბოლოს მან ასეთი ფრაზით დაამთავრა: - ჩემო უფროსო ძმაო

და მეგობარო, ჩემო ძვირფასო იოსებ! შენ დღეს, ჩენს თანამედროვეთა შორის, აკაკისა და გალაქტიონის ქვეყანაში ყველაზე პოპულარული პოეტი ხარ! დიდების შარავანდედად მარტო ამ ფაქტის აღნიშვნაც გეყოფა“!

ეს შარავანდედი მართლაც საგრძნობი გახლდა იქვე ყველას თვალწინ. პოეტისადმი ყოველ მისალმებას, ყოველ მილოცვას, ყოველ გამოსვლას სიმღერები ფარავდა, თვით მის ლექსებზე შექმნილი სიმღერები. იმ დაუვიწყარ და მუდამ მოსაგონარ საღამოს იოსებ ნონეშვილი ჭეშმარიტად სიმღერებში განცხადდა, სიმღერებად გაშუქდა. სიმღერებით მოირთო“(თოფურია ა, 1980: 103).

შოთა სულაბერიძე წერდა:- „იოსებ ნონეშვილი ბუნებით, მთელი არსებით, რწმენით ოპტიმისტი იყო. იგი ხშირად ამბობდა, რომ „პოეტს სიყვარული ჰქმნის... სახალხო პოეტი ვარო“. მართლაც იგი უყვარდა დიდსა თუ პატარას, საოცრად გულისხმიერი იყო, სხვათა სულის წუხილის გამგები, ახლობელთათვის თანამგრძნობი, მოყვასისათვის დიდად გულშემატკივარი... თუკი დახმარება ძალუძდა რკინის ქალამანს ჩაიცვამდა, გაგყვებოდა და ბოლომდე საქმის დაგვირგვინებამდე გდევდა. ერთადერთი რამ რაც ცხოვრებაში ეზიზღებოდა და ვერ იტანდა ყოველგვარი ძალადობა გახლდათ. უშურველი იყო, დაუღალავი, უანგარო, გულდამწვარი მამულიშვილი, სხვათა ფასიც იცოდა, მაგრამ გულის ფიცარზე უპირველესად საკუთარი ქვეყნის სიყვარული ჰქონდა დაჭდეული. მშობლიური სიტყვის ეშხი, ლაზათი, ფერი, გემო, სუნი, ჯავარი ესმოდა და უყვარდა. პოეტს სწამდა, რომ უმთავრესია „დარჩე პოეტად და კაცურ კაცად“- და მან ბოლომდე უერთგულა თავის რწმენას“.

მის წიგნში „ გზები და ლექსები“, სადაც შევიდა მისი ბოლოდროინდელი ლექსები, წამძღვარებული აქვს ცნობილი კრიტიკოსის ლავროსი კალანდაძის შესავალი წერილი „კაცი-პოეტი“: „თუ ვინმეს შეიძლება ეწოდოს დღევანდელ საქართველოში პოეტი-ტრიბუნი, იგი ერთ-ერთ პირველთაგანს შეიძლება ეწოდოს იოსებ ნონეშვილს. თავის ხმიერ, ჟღერად ლექსებს პოეტი მგზნებარედ კითხულობს ზეპირად, საჯაროდ. პოეტი სამართლიანად იმკის მრავალრიცხოვან მსმენელთა აღტაცებასა და ნდობას“. სწორედ ეს არის მგოსნის აღიარება, რომელიც ხალხმა დიდი ხანია მიანიჭა იოსებ ნონეშვილს ჭეშმარიტი შემოქმედების ჯილდოთ(„ჭოროხი“ , 1978.: 95).

იოსებ ნონეშვილს ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში ტაშით ხვდებოდნენ და გულისყურით უსმენდნენ, უყვარდათ და პატივს სცემდნენ. რით აიხსნება ეს? ზოგიერთს ჰგონია, ეს გამოწვეულია იმით, რომ იოსებ ნონეშვილი კარგად, უაღრესად არტისტულად კითხულობდა თავის ლექსებს. რასაკვირველია კითხვას, არტისტულ კითხვას დიდი მნიშვნელობა აქვს და ლექსის ემოციურ ზეგავლენას დიდად ხელს უწყობს, მაგრამ თუ თვითონ ლექსში არაფერია პოეტური, მაშინ კარგი წაკითხვა რაგინდ არტისტულიც არ უნდა იყოს იგი საქმეს ვერ უშველის. უმთავრესი მაინც თვითონ ლექსია, მისი იდეურ - მხატვრული ღირსება. ბოლოსდაბოლოს იოსებ ნონეშვილის ლექსებზე წარმოდგენა უმუშავდება მკითხველს არამარტო წაკითხვით, არამედ იმითაც, რომ ნონეშვილის ლექსებს თვითონ კითხულობდა . ამ ლექსებს თავად რომ არ ჰქონდეთ მაღალი პოეტური ღირსება, მაშინ საპნის ბუშტივით გაქრებოდა მოსმენით მიღებული შთაბეჭდილება. იოსებ ნონეშვილის პოპულარობის პირველი წყარო მისი ლექსებია.

იოსებ ნონეშვილი ნამდვილი ხალასი ნიჭის პოეტია. ამას ხალხის მიერ სასიმღეროდ ატაცებული მისი სტრიქონებიც მოწმობს. მაგალითად ლექსი „ ვაზო, შენს გამო არ ვართ მოცლილი“ ვის არ მოუსმენია ჰანგებად ქცეული ეს სიტყვები:

ვაზო, ლამაზო, ფესვო ნაკურთხო,
ვაზო, ქართველი კაცის დიდებავ,
ფერით ზურმუხტო, ბარაქით უხვო,
შენით სამშობლო ხარობს, ირთვება.

პოეტი ვაზის მხარეში ალაზნის დიდებულ ველზეა დაბადებული და, ბუნებრივია მის მრავალ ლექსს,, თუნდაც იგი საზღვარგარეთ მიღებულ შთაბეჭდილებებზე იყოს აგებული, ნათელ ზოლად გასდევს ვაზის, ისე როგორც მშობელი ქვეყნის სიყვარული.

სიცოცხლის ბოლომდე ქართული სულის სადარაჯოზე იდგა - ყველგან, შინ და გარეთ! უცხოეთის გზებზე ხშირად მოგზაურობდა და ასევე ხალისიანად მასპინძლობდა სტუმრებს... ლამის მთელი დედამიწიდან!

იოსებ ნონეშვილის ერთადერთი შვილი , სანდრო , პროფესიით ისტორიკოსი იხსენებს მამის მიერ განვლილ გზას: „იოსებ ნონეშვილი ძალიან მხიარული, ძალიან ხუმარა და კაცთმოყვარე გახლდათ, მის თაობაში მოიაზრებოდა როგორც ყველაზე

დიდი ჰუმანისტი, კომუნიკაბელური იყო. მე შევესწარი ფაქტს როდესაც თბილისში ჩამოსული იყო ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ამერიკელი გამომცემელი ელტონ ფაქსი ნიუ-იორკიდან, რომელიც ძალიან დაუმეგობრდა მამაჩემს. პურმარილია გაშლილი, მამაჩემი და ელტონ ფაქსი ცალკე დგანან და საუბრობენ რაღაცაზე. გვერდით მდგომი ნოდარ დუმბაძე მომიახლოვდა და მეკითხება: -„სანდრო გამაგებინე ერთი რა ენაზე ესაუბრება მამაშენი ელტონს, მან ხომ არც ერთი უცხო ენა არ იცის?“. აი ასე შეეძლო სხვადასხვა ხალხის ენა გაეგო და მათთვის თავისი სათქმელი გაეზიარებინა...

შესანიშნავი მამა-შვილური ურთიერთობა გვქონდა, არასდროს არ მაძლევდა შენიშვნას, ყოველთვის ცდილობდა საკუთარი მაგალითი ყოფილიყო ჩემი აღზრდის სტანდარტი, სურდა, რომ სწორედ ისე მოვქცეულიყავი, როგორც თვითონ იქცეოდა, ყურადღებიანი იყო, მაგრამ არასდროს არ ერეოდა ჩემს პირად თუ კარიერულ ცხოვრებაში. მიუხედავად იმისა, რომ მას დიდი გავლენა ქონდა, სამი მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი იყო და შეეძლო დიდებული კარიერა შეექმნა ჩემთვის კომკავშირული ან პარტიული, მიუხედავად ამისა, როდესაც უნივერსიტეტი დავამთავრე მკითხა თუ რა მსურდა და მე ვუპასუხე, რომ მსურდა არქეოლოგია. მას ეს ძალიან გაუხარდა.

ძალიან საინტერესოა ჩემი მშობლების თანაცხოვრების პერიოდი.. უზადოდ უყვარდათ ერთმანეთი. მათ ერთმანეთი გაიცნეს ცნობილი გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორის, ბორის ნანიტაშვილის ოჯახში, რომელიც იოსებ ნონეშვილის მეგობარი იყო. მასთან ხშირად იკრიბებოდნენ სავახშმოდ. ლილი ვასაძე, ბორისის მეუღლე ცნობილი მზარეული გახლდათ. მასთან ერთ საღამოს მივიდნენ მისი დისშვილი თინა კილაძე და მისი ქალიშვილი მედეა. სწორედ აქ შეხვდა 30 წლის იოსები მე-10 კლასის მოსწავლე 16 წლის მედეას. იოსებ ნონეშვილის საპატივცემულოდ მედეა მიუჯდა როიალს და იმღერა ცნობილი საუნტრეკი კინოფილმიდან „ყელსაბამი“ არჩილ კერესელიძის მუსიკაზე. მოხდა ერთი ნახვით სიყვარული და სულ მალე იოსები და მედეა შეუღლდნენ“. (13)

ბოლომდე მართალ, თავმდაბალ, ბავშვივით გულუბრყვილო, სიკეთის, სიყვარულის, მეგობრობისთვის და რაც მთავარია სამშობლოსადმი უწმინდესი გრძნობით გაჟღენთილი გულით იცხოვრა პოეტმა:

ეცადნენ და ვერ გამხადეს ბოროტი,
ეცადნენ და ვერ გამხადეს ფლიდი...
წუთისოფელს კაცად შერჩე ბოლომდე,
თურმე ესეც გმირობაა დიდი.

ი. ნონეშვილის მოღვაწეობა მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო. ეს იყო საბჭოთა წყობილების პერიოდი, რომელიც ყველა მწერალს გარკვეულ კლიშეებში ათავებდა. ამის მიუხედავად მცირე ნაწილი მაინც ახერხებდა ინდივიდუალური შემოქმედების შექმნას. ერთ-ერთი მათგანი არის სწორედ ი. ნონეშვილი, რომელმაც მართებულად დაიმსახურა ხალხის სიყვარული და პატივისცემა.

მეორე თავი

სატრფიალო ლირიკა იოსებ ნონეშვილის შემოქმედებაში

ადამიანურ სიყვარულში ესთეტიკურად მნიშვნელოვანია ის, რაც მეტნაკლებად სცილდება ჩვეულებრივის ფარგლებს, ანუ იშვიათი, უნიკალური, უაღრესი.

სიყვარულის ახალ სათავეებს გასული საუკუნე მსოფლიოს ეგზოტიკურ წერტილებში ეძებდა: ბაირონი- იორდანეს ნაპირებზე, მერიმე-ესპანეთში, პუშკინი- ბესარაბიელ ბოშათა კარვებში, სტენდალი- იტალიის ლაჟვარდოვანი გზის ქვეშ, გოგენი- ტაიტიზე, ხოლო ლერმონტოვის დემონმა კავკასიას მოაშურა...

სიყვარულს აქვს საერთაშორისო კოდი და საყოველთაოდ, მუდმივი სიმბოლო. როგორც ყოველ პიროვნებას, ასევე ყოველ ერსაც აქვს სიყვარულის რაღაც არსებითი, თავისი გულის გულში, საყრდენთა საყრდენშიც უცვლელი თავისებურებაც.

იყო დრო, როცა საბჭოთა პოეზიისათვის უცხო განწყობილებად თვლიდნენ ქალ-ვაჟის სიყვარულზე წერას, რადგან ამ გრძნობის გამოხატვა სოციალისტური ქვეყნის პოეტისათვის შეუფერებელ გართობად მიაჩნდათ. (სულაბერიძე შ.1966:30)

სატრფიალო პოეზია ლირიკის უფაქიზესი დარგია, მასში ხშირად ყველაზე მკაფიოდ ცხადდება პოეტის სულის უნაზესი მიმოხვრა. ამიტომაც იგი ოსტატისათვის ეკლიან ბაღში შესვლას ჰგავს. საკმარისია ოდნავ უყურადღებობა, რომ ვარდის ნაცვლად ეკლები დაკრიფოს. (სულაბერიძე შ. 1966: 35)

გალაქტიონ ტაბიძის შემდეგ იშვიათია თანამედროვე პოეზიაშია პოეტი, რომელსაც ქალის სიყვარულის უნაზესი გრძნობა ისე ფაქიზად და დრამატულად გამოეხატოს, როგორც ეს იოსებ ნონეშვილმა მოახერხა. იმ პერიოდისათვის, როცა ი. ნონეშვილი შემოვიდა ქართულ პოეზიაში, ლირიკის ამ უჭკნობ მოტივს უკვე უფლებამოსილად აღიარებდნენ. პოეტი თამამად აუღერებდა სატრფიალო ლირიკის ხმებს:- „ მაისმა წერა ფერგადასული“, „ საქართველოს ყელყარყარა ლამაზებო“, „ შენ საქართველოს დედოფლობა დაგმშვენდებოდა“, „ საუბარი ნაძვებთან“, ფრთხილად იყავ, ფრთხილად იყავ ლამაზო“, „ყელსაბამი“, „შენ არა გაქვს მეფის გვარი“, „ჩუქურთმისმჭრელის ეპიტაფია“, „ გველიც არა ჰკბენსო გუთნისდედას“, „მაგრამ გაგიბედავ“ , „უსახელო ყვავილი“, „ რა უეცრად დაქალდი“ და სხვა ლექსები, რომლებიც

ქართული სატრფიალო პოეზიის საგანძურში შევიდა და მის ავტორს ჩვენმა მკითხველმა სრულიად დამსახურებულად შეარქვა - სიყვარულის მგოსანი.

სამამულო ომის წლებში, როცა ჩვენი მხატვრული სიტყვის ოსტატები თავიანთი ღრმად პატრიოტული ლექსებით გმირობისა და მამაცობის სულს უღვივებდნენ და სოციალისტური სამშობლოს თავისუფლებისათვის საბრძოლველად შთააგონებდნენ საბჭოთა ადამიანებს, იოსებ ნონეშვილი თამამად აუღერებდა სატრფიალო ლირიკის ხმებს და შესანიშნავად გამოხატავდა თავის მაღალმოქალაქეობრივ იდეალებს. სწორედ ამ სულისკვეთების გამომხატველია სამამულო ომის დროინდელი მისი სატრფიალო ლექსები: „ მაისმა შემობრძანება, ყაყაჩოს შუქით გვახარა“ , „არსად წარწერა ფერგადასული“, „ არწივო, წაიღე გული სისხლიანი“ და სხვა.

იოსებ ნონეშვილის სატრფიალო ლირიკაში, მისი ბევრი სამიჯნურო ლექსი მღელვარე განცდითაა დაწერილი და სათუთ თრთოლვას გვიმხელს. საერთოდ, ქალისადმი ტრფობა პოეტის სულშია გაღვრილი, ხშირად იგი ქალის ეშხით დამთვრალი კაცის თვალებით უყურებს ამ ქვეყანას. მისთვის თბილისის ზეცა სიყვარულის დიდი წიგნია, კლდეზე გადმომდინარე ჩანჩქერი- საყვარელი ქალის თმებია, იორი და ალაზანი- მისი წყვილი დალალი, ორი ალვა- ყელით ყელზე გადაჭდობილი ქალ-ვაჟი, შემოდგომის ქარი - ლამაზ ქალთა კაბების შრიალი, ეჩმიაძინის ჩუქურთმა- ქალწულის წარბი, განთიადის ცა- მის ბაგეთა ფერი, ღამე სატრფოს თვალთა შუქით თენდება. (სულაბერიძე შ,1966: 36)

პოეტისათვის ნიშანდობლივი ამგვარი მსოფლშეგრძნება მკაფიოდაა გამოხატული ლექსში „უსახელო ყვავილი“- სიყვარულით გაბრუებული პოეტი ველ-მინდვრად დაეხეტება და ათასფერად ყვავილებს ეალერსება:

ეჰ, მერცხალი მაინც ვიყო შემოგევლო, შეგჭიკჭიკო
და ფრთა ყოველ გაზაფხულზე გაგკრა გულზე.
ეჰ მერცხალი მაინც ვიყო, შეგჭიკჭიკო.

ზოგი სატრფოს ბაგეებს აგონებს, ზოგი თვალებს, ერთი კი სულ საყვარელ ქალს გავს და მოხიბლული პოეტი მის სახელს არქმევს ამ ყვავილს:

ბოლოს ასე პაწაწინას,

ბოლოს ასე უცოდველს,

დავაკონე ბაგე ფრთხილად

და ლეილა ვუწოდე.

პოეტის სასიყვარულო განცდა ზოგჯერ ნაზი, შუქით აღსავსეა და ნეტარებით ამღერებს მას:

მხოლოდ ერთი პაწაწინა,

ოქროსფერი ყვავილი,

ვით ჩუქურთმა, ოპიზარის

ხელით გამოყვანილი.

ზოგჯერ სიყვარული პოეტს ალერსიანი წუხილითა და ნაღველით მსჭვალავს . კარგადაა გამოხატული ეს განწყობილება ლექსში „ სიღნაღი, მაისის ოცი“. პოეტის მთელი არსება აღვსილია იმ ტკბილ-მწარე დღის მოგონებებით, როცა იგი საოცნებო ქალის მხარდამხარ მიაბიჯებდა ხალხმრავალ ქუჩაში, ირგვლივ წითელი ვარდების წარღვნა იყო, ისმოდა ფრინველთა სტვენა, ამაყად მიმავალი ქალის წინაშე თითქოს კრძალვით ირხეოდნენ ცისკენ აჭრილი ალვები, ყვავილები კი შურით შფოთავდნენ. პოეტი ნეტარების მწვერვალზე იყო, ლაღად მისდევდა თავის ქალღმერთს და ყვავილებივით კრეფდა „ იმ ქებას, იმ გულთა ფეთქვას“ , რომ სიმღერად ეთქვა მისთვის. მაგრამ მოულოდნელად გზაზე ვიღაც გამოჩნდა, ქალი შეკრთა და იმ უცნობს მიაპყრო ღვთიური თვალები...ასე დაემსხვრა პოეტს ტკბილი ოცნება და წაერთვა სიმღერის ძალი:

დრო გადის.

მოგიხმობ მე კვლავ, მღელვარე ფიქრით და ლოცვით

და გულში მწუხარედ რეკავს...

სიღნაღი, მაისის ოცი...

ნაღვლიანი შფოთვით ამბობს პოეტი, რომლის სულიც ვერ შერიგებია თავის ოცნებასთან განშორებას და კვლავ მოუხმობს მას მხურვალე ვედრებით.

სიყვარული ამ ლექსების ლირიკული გმირისთვის ის ყოვლისმომცველი გრძნობაა, უპირველესად, სულს რომ იპყრობს და თვალსაც თავის ნებას კარნახობს. ეს კარგად ჩანს ლექსში „რად გიყურებ“:

რად გიყურებ? სურთ ამ თვალებს უმეცართ
შეგამჩნიონ ნაკლიცა და მშვენებაც,
თორემ, თუკი შემიყვარდი უეცრად
ყველაფერი კარგად მომეჩვენება.

სიყვარულის გამაკეთილშობილებელ გრძნობას პოეტი ტრადიციულად აღიქვამს ლექსში „შენ არა გაქვს მეფის გვარი“ და საყვარელი ქალის იერში მოდერნისტული პოეზიის ულტრასიყვარულს კიარა, წმინდა წინაპრების ნათებას ეძებს:

შენ არა გაქვს მეფის გვარი, ფრთაფვარფვატა თოლია
მაშ თვალები თამარ ქალის როგორ გამოგყოლია.
არ მომეკრა შენთვის თვალი, სიზმრად მაინც გნახავდი,
ხარ ყინწვისის ანგელოსი, თეთრ ღრუბლებში ნახატი.

პოეტმა კარგად იცის, რომ სწორედ სიყვარულია ის უნეტარესი გრძნობა, საგმირო საქმეებისკენ რომ მოუხმობდა მიჯნურებს და რაინდულ თვისებათა გამოჩენის ასპარეზს რომ უქმნიდა, სიყვარულის აქტიურ, ოპტიმისტურ გაგებაში იოსებ ნონეშვილს ეს ყველაფერი წარმოდგენილი აქვს ლექსში „შენ საქართველოს დედოფლობა დაგშვენდებოდა“

შენ საქართველოს დედოფლობა დაგშვენდებოდა,
დაგშვენდებოდა და რარიგად დაგშვენდებოდა.
შენს ერთ სიტყვაზე ქალაქები აშენდებოდა
და დაიწყებდა უდაბნოში შრიალ წალკოტი...

არც ის არის შემთხვევითი რომ „ჩუქურთმისმჭრელის ეპიტაფია გამიჯნურებული სულის ღაღადია და რაკი სწორედ შეყვარებულ გულს შეუძლია შექმნას ყოველივე დიადი , ლექსის ავტორიც ღვთისმშობლის თვალებში სწორედ რომ მიჯნურის თვალებს დაეძებს:

მე თვით არ ვიცი , საიდან გაჩნდა

ჩემი მიჯნური შემართულ ისრით;

და ღვთისმშობელის თვალების ნაცვლად

როგორ დავხატე თვალები მისი...

იოსებ ნონეშვილის სატრფიალო ლირიკა გამოირჩევა საყვარელი არსებისადმი ნაზი, ნატიფი დამოკიდებულებით, იგი შორსაა ხორციელ ვნებათა აპოლოგიისაგან. ამ თვალსაზრისით პოეტი ისევ და ისევ თავისი გენიალური წინამორბედი- გალაქტიონის ერთგული მიმდევარია. სიყვარული მის ლექსებში ადამიანის ამამაღლებელი, გამწმენდელი და გამაკეთილშობილებელი გრძნობაა. ერთ-ერთი ასეთი ლექსია „ მაშინ მოვა სიყვარული“:

მაშინ მოვა სიყვარული

როცა სულაც არ ელი ,

იისფერად, ვარდისფერად

განათდება მთა- ველი.

...მიბრძანე და ზეცა შევძრა

ვერ გაგვყარონ ვერასდროს;

ვარსკვლავები მძივად შევკრა

ყელზე აგიფერადო.

როგორც უკვე ავღნიშნეთ ი. ნონეშვილის ბევრი ლექსი გამსჭვალულია მაღალი მოქალაქეობრივი გრძნობით, საზოგადოებრივი სულისკვეთებით. აი, თუნდაც, მისი „ყიზი ყუუ!“- დაეწიე ქალიშვილს“. ამ ლექსის თემა შთაგონებულია ყაზახური ხალხური თამაშობის პოეტური სურათით, ცხენოსანი ქალ-ვაჟის თავისებური სატრფიალო გაპაექრებით. თვითონ პოეტი ლექსისათვის წამძღვარებულ შენიშვნაში ასე განმარტავს მას: „ ყიზი ყუუ!“ - ყაზახური ცხენოსნური სპორტის სახეობაა. ქართულად ნიშნავს: „ დაეწიე ქალიშვილს“. ცხენოსანი ვაჟი მისდევს მხედარ ქალიშვილს. თუ დაეწია, ცხენდაცხენ აკოცებს, თუ ვერ დაეწევა, საჯაროდ სირცხვილს სჭამს. უკან მობრუნებულ ვაჟს ახლა ქალიშვილი მისდევს, რომ დაეწიოს და მათრახი გადაარტყას. ამ სურათის ხილვამ პოეტს დააწერინა შთაგონებული ლექსი, რომელიც გვიმორჩილებს ჩანაფიქრის პოეტურობით, ლაღი და სახიერი თხრობით, მეტაფორული გააზრებით, ცეცხლოვანი

რიტმით. პოეტს აღაფრთოვანებს სიცოცხლის მქუხარე მაჯისცემა, ველზე ქედანივით გაფრენილი ქალიშვილის ჟინიანი ქროლვა, მიმინოსავით მის კვალს დადევნებული ვაჟკაცის თავაწყვეტილი ხალისი, ახალგაზრდულ სულთა მეოცნებე სწრაფვა. ეს სწრაფვა მის სულშიც გადმოდის. ყაზახი ჭაბუკივით მასაც ახელებს „ შავი დალალების ქარი“ და იპყრობს ჟინი თავისი „ ლექსის რაშით“ დაედევნოს ამ „ საოცნებო მხედარს“.

ყიზი ყუუ! - შენ იცი, არ გაუშვა,

ჩქარა, ჩქარა, არსად დაახანო...

მოგდევ, მოგდევ და გზას ბოლო არ უჩანს,

ნეტავ როდი დაგეწევი, ქალო?!-

ამბობს პოეტი და მკითხველისათვის ნათელია ამ მეტაფორული სტრიქონების აზრი:

პოეტი შთაგონებულია კეთილშობილური მიზნით-ღირსეულად შეიცნოს და ასახოს ჩვენი დროის ადამიანი, მისი ლამაზი სული და ცხოვრება. ეს მიზანი საოცნებო ნატვრად ქცევია და მთელს მის არსებას დაუფლებია. ყველაფერი, რისი თქმაც პოეტს სურს, ბოლომდე მომწიფებულია მის არსებაში და ხმაურით იღვრება ნათელ სტრიქონებად!

დაგედევნა ტანმაღალი მხედარი,

„ყიზი ყუუ!“-დაჰკრა ხალხმა ტაში.

მიფრინავდი ველზე, როგორც ქედანი,

და მიმინო მოგყვებოდა კვალში,-

მღელვარე და ენერგიული რიტმი. აგზნებული ინტონაცია სასიამოვნოდ აღიქმება სმენაში და ლირიკული გმირის გულწრფელ, გულსრულ და გულნათელ გრძნობაში არწმუნებს მკითხველს. (სულაბერიძე შ. 1966:47).

„სიყვარული ღმერთია, ამ წმინდა გრძნობის გარეშე ადამიანის სიცოცხლეს აზრი არ აქვს“- სწორედ ამ იდეას ავითარებს პოეტი ლექსის სტრიონებში:

ღმერთი სიყვარულისა თუ გულით არ იწამე,

მაშ, სიცოცხლე რისთვის გინდა ამ დალოცვილ მიწაზე.

იოსებ ნონეშვილის სატრფიალო ლირიკისთვის დამახასიათებელია თბილი, ნატიფი, რაინდული დამოკიდებულება ქალისადმი, „საქართველოს ყელყარყარა ლამაზებისადმი“:

ფრთხილად იყავ, ფრთხილად იყავ, ლამაზო,
ამ თვალებში, ამ მოღალულ თვალებში,
ხან ნათელი მზის სხივები თამაშობს,
ხან ქარიშხალს გააქვს მძაფრი თარეში.
მე პატარა სიყვარულიც მეყოფა
ერთი ცრემლიც მაქცევს მწარე ფიქრებად.
სიყვარულში გული თუ გამეყოფა,
ყველაფერი შენი ბრალი იქნება.

პოეტის ოცნებაა სატრფოსთან ერთად ლერწმის ქოხში ცხოვრება, გვირილების კრეფა, სიცოცხლის ბოლო წუთამდე ამ სიყვარულით ტკბობა:

ჩემ ქუჩაზე ერთი ქერა
ქალიშვილი დადის,
ქალია თუ ბედისწერა,
თუ სიზმარი ცხადი..

იოსებ ნონეშვილის მიერ დახატული სიყვარული ამაღლებული, გამაკეთილშობილებელი, განმწმენდელია, ის მუდამ თან დაჰყვება პოეტს:

სად არ ვიყავ, სად არა,
ცხრა მთა გადამატარა
ეტლმა წუთისოფლისამ...
მაგრამ , კარგო იცი რა?
გულმა ვერ მოიცილა
ნატვრა შენთან ყოფნისა.

რევაზ მიშველაძე „ჩუქურთმისმჭრელის ეპიტაფიას“ გამიჯნურებული სულის ღაღადს უწოდებს. სწორედ შეყვარებულ გულს შეუძლია შექმნას ყოველივე დიადი:

„და როს დაადგა ღვთის თვალი ტაძარს ,

ანგელოსებმა მარჯვენა მიქეს

მე ღმერთი ვიყავ და ვიქეც კაცად,

მე კაცი ვიყავ და ღმერთად ვიქეც“.

ამრიგად ი. ნონეშვილის შემოქმედებაში ერთ-ერთ ძირითად თემად ითვლება სატრფიალო ლირიკა, რომელსაც პოეტი მისთვის დამახასიათებელი ნატიფი დამოკიდებულებითა და დიდი გრძნობით ასხამს ხოტბას.

მესამე თავი

პატრიოტიზმი და ხალხთა მეგობრობის თემატიკა იოსებ ნონეშვილის შემოქმედებაში

დღევანდელმა ქართულმა პოეზიამ მდიდარ მემკვიდრეობად მიიღო და შეისისხლხორცა 60-70-იანი წლების მონაპოვარი, მთელი სიგრძე-სიგანით შეიგრძნო და განიცადა მორალური პასუხისმგებლობა თავისი ქვეყნისა და ხალხის მიმართ. პოეზია ერთგულად ემსახურება მაღალ რწმენას და გაბედულად მისცა გზა მოძალებულ მოქალაქეობრივ განცდათა განვითარებას, ზოგიერთ შემაშფოთებელ ცხოვრებისეულ ტენდენციას ხელოვანის ღრმად გაცნობიერებული მოვალეობის გრძნობა დაუპირისპირდა და ამით კიდევ ერთხელ გამოხატა ქართული პოეტური ენერგიის დაუშრეტელი შესაძლებლობები.

ი. ნონეშვილის ჰანგების სათავე მშობლიური ქვეყნის თავდავიწყებული სიყვარულია, სამშობლო - მისი უმაღლესი და უწმინდესი მცნებაა, დაუჩრდილავი სილამაზეა. ამიტომ მიმართავს პოეტი სამშობლოს, როგორც „მშობელ დედას“ დიდი სითბოთი და სიყვარულით.

„დედაო, საქართველოვ“ - ამ ლექსში პოეტი აერთიანებს ყველა იმ სიმდიდრეს, რაც გააჩნდა და დღესაც ამშვენებს საქართველოს - მდინარეები, მთები, ველ-მინდვრები, ისტორიული ძეგლები, ძველი და ახალი ქალაქები, ყველაფერი რამაც გაუძლო დროს, მტრობას, სიძულვილს და რამაც ჩვენამდე მოიყვანა საქართველო. მას სჯერა რომ საქართველო მუდამ მედგრად და ამაყად იდგება:

დედაო, საქართველოვ, ახალო და ძველო,
შენი წინსვლისა იყოს, შენი სადღეგრძელო.

პოეტისათვის სამშობლოს სიყვარული წმიდათა წმიდა ლოცვაა, მისი აზრით სამშობლოზე დიდი განძი ადამიანს არ გააჩნია. იგი ამ გრძნობას ნათლად გადმოგვცემს ლექსში „იხარე, მუხავ...“

ჩვენი ოცნება შენსკენ ისწრაფვის,
ჩვენს გულშიც შენი ბრწყინავს ცისკარი,
ჰე, საქართველოვ, შენზე ძვირფასი

რა გვაქვს შენს შვილებს დასაფიცარი.

თუ სამშობლო უწმინდესი მცნებაა პოეტისათვის, მაშინ მის პოეზიაში უთუოდ შევნიშნავთ თავისი წინამორბედი პოეტის, დიდი ილია ჭავჭავაძის უბადლო სიტყვების გამოძახილს - „ მამული, ენა, სარწმუნოება“. ეს სამი მადლიანი სიტყვა მთელი ერის, მთელი საქართველოს სადარაჯოზე მყოფ ყველა ადამიანის, და მათ შორის მწერლებისა და პოეტების სულშია გამჯდარი. იოსებ ნონეშვილის ლექსში „ ღმერთი და ხელები“ სწორედ ამ ჯადოსნურობის დამტკიცების იდეაა გამოხატული. პოეტს უმაღლეს კვარცხბეკზე აყავს საქართველო, როგორც ქრისტიანული ქვეყანა და მის სადიდებლად წერს შემდეგ სტრიქონებს:

სულ ყველა გავეცი...ბილიკიც, ჭიუხიც...
მარტო დავიტოვე პატარა წალკოტი,
იქ კალთა დავბერტყე სიტურფის, სიუხვის,
საჩემოდ სამოთხის ხეხილით ვამკობდი.
მე ჩემთვის მინდოდა მზიური ქედები,
და რადგან მიწის სხვა ნამცეციც არ არის
ზეცაში ვიცხოვრებ...ხოლო ეს ედემი
თქვენთვის დამითმია... დე, იყოს ალალი!..

ამ სიტყვებით პოეტმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმ სიწმინდეს რასაც სამშობლო ჰქვია და რომლის მსგავსიც არსად არ ეგულება.

წარმოუდგენელია გიყვარდეს სამშობლო თავისი თოთოეული კუთხისა და მხარის გარეშე. ყველა მგოსანი თავისი მადლიერი სიტყვით აქებს და ადიდებს საქართველოს თითოეულ მხარეს და თავიანთ შემოქმედებაში განსაკუთრებულ ადგილს უთმობს მათ. იოსებ ნონეშვილის შემოქმედებაში საქართველოს სხვადასხვა კუთხეების გარდა განსაკუთრებული ადგილი უჭირავს დედაქალაქს, როგორც სამშობლოს სიმბოლოს...

დედაქალაქი ერთ-ერთი ძირითადი თემაა პოეტის შემოქმედებაში. შეუძლებელია პატრიოტული სულისკვეთების გამოხატულება თბილისზე საუბრის აცდენით. თბილისი ყოველთვის იყო ქართველი პოეტების შთაგონების წყარო, მაგრამ საბჭოთა პოეზიაში

მან განსაკუთრებული როლი დაიმკვიდრა. ჩვენი მგოსნები თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებიან მის სიყვარულში, არ დარჩენილა პოეტი რომ ხოტბა არ შეესხა მისთვის.

ი. ნონეშვილი ერთი ყველაზე თავგამოდებული მომღერალია ჩვენი დედაქალაქისა. იგი განსაკუთრებული სიყვარულით უმღერდა ჩვენს მრავალტანჯულ დედაქალაქს და ამ მხრივ იგი ქალაქურ-აშუღური პოეზიის ღირსეულ გამგრძელებლად მოგვევლინა. პოეტმა არაერთი ლექსი მიუძღვნა უსაყვარლეს თბილისს: - „თბილისი-ოცნების, მგოსნები ქალაქი“, „შემოდგომა თბილისში“, „ღამით მოდიოდა“, „მიყვარს თბილისო, დასაფიცარი შენი ცა, შენი მიწა ქართული“, „ბევრი რამ ახსოვს თბილისის მიწას“, „დგას თბილისი ყვავილებში, ხეივნებში ჩახატული“, „ და ყველგან ყოველ ნაბიჯზე“, „წყნეთის ტყე“, „რას ამბობს მტკვარი“, „თბილისი - საქართველოს გული“, „თბილისი“ და სხვა.

წარსულის სევდიანი დეტალი აზრიანად აქვს გამოყენებული პოეტს ლექსში __ ,,დგას თბილისი ყვავილებში, ხეივნებში ჩახატული ,,. განახლებული დედაქალაქი სიცოცხლისა და გაზაფხულის ტახტივით გადაიშალა პოეტის წინაშე. მის თვალს ახარებს ის თანამედროვე სიახლე, რაც მოუხდენია ქალაქს. ამ სიამითა და სიხარულით ავსილს, გულის ტკივილით ახსენდება ხსოვნაში ჩაკირული მოგონება:

განა მუდამ ბაღი იყო
ეს ლამაზი ხეივანი?
დანგრეული ეკლესია
იდგა როგორც ხეიბარი.
გვერდით შავი ლოდი იდო
ნაქარალი, ნაწვიმარი
და ჰყვაოდა მხოლოდ ხავსი
ჩუმი როგორც სამძიმარი.

ამ ლირიკული ნათქვამით პოეტი წამიერად აფიქრებს მკითხველს, წარსულისაკენ ახედებს მას და გონებაში აცოცხლებს იმ გრძელ გზას, რომლის გამოვლაც დასჭირდა ხალხს, რათა სიცოცხლე და სიხარული დაემკვიდრებინა თავის დედაქალაქში, თავის ქვეყანაში.

ნაზი ლირიკული განწყობილებაა გამოხატული ლამაზ მინიატურაში- „თბილისი- ოცნების, მგოსნების ქალაქი“, რომელშიც არტისტულადაა გათამაშებული გორგასალის ისრით განგმირული ხოხობის პოეტური მოტივი:

თბილისი- ოცნების, მგოსნების ქალაქი,

ზღაპრული ქალაქი ჯადოსნურ მხარეთა...

მწვავე გულის ტკივილის გამომხატველია ლექსი „ღამით მოდიოდა“, რომელშიც პოეტი აღა-მაჰმად-ხანის მიერ აოხრებულ თბილისში ერეკლეს შემოსვლას აღწერს. ურჟოლვის მომგვრელია აქ დახატული სურათი:

სისხლით უბზინავდათ ფოლადის ჯავშნები, ცეცხლის შუქისაგან სახე ალეწილებს.

ნიავს ამოჰქონდა ტირილი ბავშვების, კალო უბანზე, რომ ცხენებს ალეწინეს.

თვალი მოაშორა... თვალებიც ვერ იტანს... ცხენს დეზი ამოჰკრა მეფემ უგუნებოდ.

ისე მოისმოდა კრწანისის ველიდან სამას არაგველთა ძვლები გუგუნებდა.

ფერებითა და პლასტიკური ფიქრებით მდიდარი ხალისიანი ჟანრული ტილოა ლექსი „შემოდგომა თბილისში“, რომელიც განახლებული დედაქალაქის ეშხითა და სილამაზით შთაგონებული პოეტის ხელითაა შესრულებული. ამ ლექსში პოეტმა შესანიშნავი მხატვრული ალღოთი და ფერწერულობით შექმნა თბილისის დაუვიწყარი კოლორიტი, მისი განუმეორებელი პოეტური ხატება:

„შემოსულა შემოდგომის

დოვლათი და ბარაქა,

მოილხინოს, გაიხაროს

მთელმა თბილის- ქალაქმა.

არიგებულ-ჩარიგებულ

დახლებსა და ყაფანზე

ყველა თავის შრომის ნაყოფს

და მოსავალს აფასებს,“

პოეტს გულის ფესვებიდან მომსკდარი სიმღერებით სურს სამშობლოსადმი ღრმა თაყვანისცემისა და ერთგულების გამოხატვა:

წმინდაა როგორც დედის მანდილი, ჩემი ლამაზი ქვეყნის მიდამო,

მინდა სიმღერამ ამოვარდნილმა, გულის ფესვები ამოიტანოს.

ამბობს პოეტი და სამშობლო ქვეყნისადმი თავის სიყვარულს ყოველთვის კონკრეტული განცდით, კონკრეტული შთაბეჭდილებით გამოხატავს. კერძოდ, მოყვანილი სტრიქონები შთაგონებულია მისი მშობელი კახეთით, რომელსაც პოეტმა არა ერთი და ორი მღელვარე სტრიქონი უძღვნა: ,,დაღამდა თითქოს ცაზე დასცალეს ლალის მტევნებით სავსე კალათა,, ,,ცა - ფარშევანგის გაშლილი ბოლო", ,,ზანტად დაიძრნენ გზაზე ურმები", ,,როცა თადარიგს იჭერს ბებია", ,,კახეთ" ,,აი კახეთი", ,,ჭალაში არყის სახდელი"და სხვა.

პოეტი გულით დაატარებს მშობლიური კუთხისადმი ღრმა მადლიერების გრძნობას და ცდილობს ღირსეულად შეაქოს მისი ,,ხავერდით გულმოხასხასე,, მიწა, გამრჯე, გულმართალი და პურადი ხალხი. აქ გაატარა მან ,,ყველაზე წმინდა,, ბავშვობის წლები, აქედან დაინახა ქვეყანა, მის ბუნებასა და ხალხში შეითვისა სილამაზისა და სიყვარულის, ძმობისა და მეგობრობის, სიკეთისა და პატიოსნების, ადამიანობისა და მოქალაქეობის ენა. ამიტომაც მისთვის ყველაფერი ძვირფასია აქ: - ნაწვიმარი მიწის სურნელიც, ალაზნის ტკბილი დუდუნი, ყურძნის მთებში ჩაფლული მარნებიც ,კაცის გულივით უცეცხლოდ ამომდუღარი ქვევრიც. ,,სიმღერით სიცოცხლის გადასახედი" ცივგომბორიც. ,,მწყურია მზერით დავითვრე მხოლოდ" __ შთაგონებით ამოხდება ერთ-ერთ ლექსში პოეტს და ამ მეტყველ და ემოციურ სტრიქონებში ჩატეულია მშობლიური კუთხისადმი მადლობისა და სიყვარულის უსაზღვრო გრძნობა და სწორედ ამ გადმოსახედიდან შეიგრძნო პოეტმა არა მარტო თავისი მშობლიური კუთხის, არამედ სამშობლოს, თავისი პატარა საქართველოს დიდი სიყვარული:

მისი დიდების ამბავი
საუკუნეებს მიაქვთ.
არის ასეთი ქვეყანა,-
მას საქართველო ჰქვია!

გარდა თბილისისა, პოეტმა არაერთი ლექსი უძღვნა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებს. თბილი და ალერსიანი სტრიქონები ჩააქსოვა პოეტმა ლექსში „ქუთაისური":

ქუთაისო, ჩვენი ერის,

ჩვენი ქვეყნის ლაზათი ხარ,

საქართველოს ბედნიერი,

გემრიელი ქალაქი ხარ...

მღველვარე სტრიქონები მიუძღვნა პოეტმა მესხეთ-ჯავახეთს, საქართველოს ძირძველ კუთხეს, სადაც ქართველ ხალხს მუდამ გულს უნთებდა ზარზმის ზართა რეკა:

სადაც მესხი მახვილს სცდიდა,

ყვავილების ღაღანია...

ჩვენი მიწა-ერთი ციდა-

საქართველოს საზღვარია.

როდესაც ვკითხულობთ იოსებ ნონეშვილის ლექსს „გამარჯობათ, აფხაზებო“ ვგრძნობთ პოეტის უსაზღვრო სიყვარულსა და პატივისცემას ჩვენი აფხაზი ხალხის მიმართ. ამ ლექსში ჩატეული თითოეული სტრიქონი არის მოწოდება ქართველი და აფხაზი ხალხის მეგობრობის, სიყვარულისა და ერთობისა:

გამარჯობათ, აფხაზებო, კავკასიის რაინდებო!..

ჭირშიც, ლხინშიც მართლაც ძმებო სამარადოდ, საიმედოდ!..

მკერდში ერთი გული გვიძევს, მოგვდგამს ერთი მიწის ძალა.

შვილები ვართ ერთი მთების, ერთი ზღვის და ერთი დედის...

თბილი და ლამაზი სტრიქონები უძღვნა პოეტმა დასავლეთ საქართველოს მშვენებას, ქალაქ ბათუმს...მისთვის ეს ქალაქი გამორჩეული და მართლაც ლამაზია.. :

შავი ზღვის დედოფალს გეძახით

შავი ზღვა წინ გიდევს სარკედ,

რა ფიქრით არ ვიყო გართული

რა უცხო ქალაქთა ეშხით,

ბათუმი... ბათუმი... ბათუმი...

ზარივით გუგუნებს მკერდში!

ასეთი შემართებით უმღერა პოეტმა თავისი ლექსით სამშობლოს, მის თითოეულ კუთხეს და გამოხატა ის უსაზღვრო სიყვარული, რომელიც ასე ამაღლებდა და ადიდებდა თვით პოეტს და მის შემოქმედებას.

ინტერნაციონალიზმი, სხვა ერებისადმი პატივისცემისა და ძმობის გრძნობა ქართველი კაცის ეროვნული თვისება გახლავთ და ბუნებრივია, რომ ხალხთა მეგობრობის მოტივებმა სათანადო ასახვა ჰპოვეს მრავალსაუკუნოვან ქართულ მწერლობაში. ეს სასახელო ტრადიცია კარგად გააგრძელა იოსებ ნონეშვილმაც. იგი თავისი შეგნებითა და სულისკვეთებით ინტერნაციონალისტი პოეტის განსახიერება იყო და მარტო თავისი შემოქმედებით კიარა, ცხოვრების წესითაც დაუღალავად ემსახურებოდა ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცების კეთილშობილურ საქმეს. იგი ხშირად იყო წარგზავნილი ქართული კულტურის ელჩად საზღვარგარეთ და პოეტი-ტრიბუნის პირით მსოფლიოს გზებზე ლაპარაკობდა სტუმართმოყვარე საქართველოზე. ეს კარგად აქვს გამოხატული ლექსში „ მობრძანდით, გელით“:

მობრძანდით, გელით გაშლილი ხელით,
სტუმართმოყვარე ყველა ქართველი,
ნახეთ მზიანი სამშობლო ჩვენი,
ასე ლამაზი, ასე ნათელი.
...მობრძანდით ძმებო, მოგელით ყველა,
მოდით, მეგობრულ ლხინში ჩამუხლეთ,
ქართველი კაცი გაჰყიდის პერანგს,
ოღონდ კი სტუმარს კარგად დაუხვდეს.

პოეტის ინტერნაციონალური ღაღადის კოსმოპოლიტიზმის ქაოსს როდი ჰგუობდა, იოსებ ნონეშვილი უცხოეთს ყოფნისას „ ქართულს ქუდს არასდროს იხდიდა თავიდან“. ღრმა ფესვებით იყო დაკავშირებული სამშობლოსთან და სხვა ქვეყნისადმი პატივისცემას უპირველესად თავისი მშობლიური კუთხისადმი ღრმა სიყვარული განაპირობებდა. ამ სიყვარულით აქვს დაწერილი ლექსი „სად არ ვიყავ, სად არა“:

უცხო ცაზეც მნათობნი
კიაფობენ ათობით,
მზესაც ოქროს ფერი სძევს
მაგრამ სულ სხვა რამ არის
სხივებნათამამარი,

საქართველოს ცხელი მზე.

იოსებ ნონეშვილმა კარგად იცის, რომ მშვიდობის შენარჩუნების მაგისტრალი ხალხთა მეგობრობაზე გადის და თავის ომახიან, პოეტურ ხმას უერთებს კეთილი ნების ადამიანთა მძლავრ სიმღერას. ერთა შორის ძმობისა და მეგობრობისთვის მოწოდებულს ლექსში „სიმღერა მეგობრობისა“:

მღერიან ზანგნი, ფრანგნი, ინდონი,
ხმები ლაჟვარდებს ეხეთქებიან...
იღვიძებს განგის ვრცელი მინდორი
აპენინები ფეხზე დგებიან.
შუქად ადგება ბაღებს გადაშლილ,
ვეება ქარხნებს კვამლის კალთიანს
ბავშვის ღიმილში, დედის ნანაში
ამ დიდი სიმღერის შუქი ანთია.
რას უზამს მტერთა ყეფა, გნიასი,
ქვეყანა მისმა ექომ მოიცვა.
გუთნის ჭრიალში, გრდემლთა გრიალში
ისმის სიმღერა მეგობრობისა.

შოთა სულაბერიძის თქმით, იოსებ ნონეშვილის პოეტური ჰანგების ერთერთი ლაიტმოტივია ხალხთა ძმობისა და მეგობრობის თემატიკა:- „ვისაც მოყვარე არ უძებნია, რა ქართველია რა ვაჟკაციაო“-ამბობს ერთიანობის პათოსით გამსჭვალული პოეტი და თავის სულის ამ კეთილშობილურ სწრაფვას გულსრულად ადასტურებს მთელი თავისი შემოქმედებით. „ ზამთარიც იყოს ფერად ყვავილებს საქართველოში უხვად იშოვით“,- გულღია და უხვი მასპინძელივით მიმართავს იგი სასურველ სტუმრებს, იწვევს საძმოთ და სამეგობროდ. პოეტი ადიდებს ძმად შეფიცვას, სიყვარულს და მეგობრობას.

მზიური ფერებითაა გამთბარი ლექსი „ვენის ტყეში ქართველები ცეკვავენ“. ვენაში, შტრაუსის ცეცხლოვანი ვალსების სამშობლოში, მისი აღმტაცი ჰანგების მომაჯადოებელი შარავანდედით მოსილ ქალაქში, მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან შეკრებილ ახალგაზრდობის ფესტივალზე სხვებთან ერთად დიდი წარმატება ხვდათ

ქართველ მოცეკვავეებს. პოეტი გზნებით აღწერს ქართველ ქალ-ვაჟთა შთაგონებულ ცეკვას და ქმნის ნათელი განწყობილებით ამეტყველებულ სურათს რომელიც მსოფლიოს ხალხების მხურვალე სულისკვეთებით მსჭვალავს მკითხველს. (სულაბერიძე შ. 1966:49)

ბევრი იარა თუ ცოტა იარა ლამის დედამიწა შემოიარა, ნამდვილად, ეს არარის პოეტური ფანტაზია და ჰიპერბოლა. მის ლექსებს ტყუილად არ აქვს წარწერები: ჩიკაგო, ვენა, პრაღა, ინდოეთი, რიგა, ნიუ-იორკი, ბომბეი, ტირანა, ვარშავა, დელი, ბეირუთი, დამასკო, ბერლინი, რომი... იოსებ ნონეშვილმა თანამედროვე საჰაერო, საზღვაო და სახმელეთო ტრანსპორტით ბევრი იმოგზაურა უცხოეთის მიწაზე, როცა მიდიოდა მშობლიური მთებიდან, როგორც ავგაროზი, ზედ გულზე ეკიდა სამშობლოს მიწა, დედის თავმანდილში ფრთხილად გამოხვეული.

საზღვარგარეთული ლექსების ციკლი იოსებ ნონეშვილის შემოქმედებაში განსაკუთრებულ ადგილს იჭერს, შორეულ გზებზე გამდგარი პოეტი ამ ლექსებში წარმოგვიდგება არა მხოლოდ მშვიდობის ელჩად და დემოკრატიულ-ჰუმანისტური აზრების მოქადაგე პოეტპროპაგანდისტად, არც აღტაცებული - პოეტი ტურისტის შორისდებულები დომინირებს უცხოეთის პოეტურ შთაბეჭდილებებში, ვკითხულობთ ამ ლექსებს და ვგრძნობთ, რომ გვესაუბრება თანამედროვე აქტუალურ პრობლემებზე ღრმად ჩაფიქრებული პოეტი. იგი პატიოსანი, მიუკერძოებელი კაცის ობიექტურობით აფასებს მის წინაშე გაშლილ მსოფლიოს კალეიდოსკოპს, გამოცდილი, დინჯი, დასტაქარივით აყურადებს მის მაჯისცემას, ექომაგება დაჩაგრულს და ლექსებში ყველგან ინარჩუნებს ღრმა პატივისცემას ერებისა და ეროვნებებისადმი.(მიშველაძე რ, 1998:375)

იოსებ ნონეშვილის საზღვარგარეთული ლექსების ციკლიდან პოეტის მკვეთრად გამოხატული მოქალაქეობრივი პოზიციით და ზოგჯერ აშკარა ალეგორიულობითაც გამოირჩევა ლექსები: „ბევრი იარა თუ ცოტა იარა“, „ ინდიელი გოგონას ლოცვა, პერუში გაგონილი“, „შორეულ გზებზე“, „ღამე ბენარუსში“, „ბეირუთში“, „ელადის ყვავილები“, „ათენში, ბაირონის ძეგლთან“, გამარჯობათ ბასკებო“ და სხვ.

ამრიგად, იოსებ ნონეშვილის შემოქმედებაში უპირველეს ადგილს იკავებს პატრიოტიზმი, სამშობლოს სიყვარული და ცდილობს მთელი განცდითა და მგზნებარებით წარმოაჩინოს მისდამი სიყვარული. მან იცის, რომ სამშობლოს სიყვარული სხვა ეროვნების ხალხთან ურთიერთობის გარეშე წარმოუდგენელია, რადგანაც თუ კი გიყვარს და პატივს სცემ სხვა ეროვნების ხალხს და სხვა ქვეყანას, მაშინ უთუოდ მთელი არსით გიყვარს საკუთარი სამშობლო. პოეტს ასევე სჯერა, რომ სამშობლოში მშვიდობის შენარჩუნების მაგისტრალი ხალხთა მეგობრობაზე გადის და თავის ომახიან პოეტურ ხმას უერთებს კეთილი ნების ადამიანთა მძლავ სიმღერას.

მეოთხე თავი

სამამულო ომის თემატიკა ი. ნონეშვილის შემოქმედებაში

სამშობლოს თემა, თავისუფლებისადმი ქვეყნის სწრაფვა, დაცვა საკუთარი თვითმყოფადობისა, ყოველთვის წარმმართველი იყო ნებისმიერი ქვეყნის მწერლობისათვის. ნიკოლო მიწიშვილი საკუთარ აზრებს გადმოგცემს თავის წერილში „მე ვარ ადამიანი“ – „ სამშობლო და თავისუფლება“- ოჰ, როგორ მაღელვებენ მე ეს სიტყვები . დიახ, მე თავგანწირვით მიყვარს ჩემი სამშობლო, მიყვარს მამა- პაპის სისხლით მორწყული მიდამოები და საჭიროების დროს ამ მიდამოებს ჩემს სისხლსაც ვანთხევ“ (მიწიშვილი ნ, 1971, 34).

ამგვარი ამაღლებული და თავგანწირული პათოსი ქართული მწერლობისათვის დამახასიათებელი იყო მთელი მისი არსებობის მანძილზე. დიდი სამამულო ომის წლებში ქართულ ლიტერატურაში დამკვიდრდა ახალი თემა- ომის თემა. საჭირო და აუცილებელი გახდა ომის ასახვა. შეიცვალა საბჭოთა მწერლების შემოქმედებითი საზრუნავი და სამწერლო ასპარეზი. ჩვენი მწერლების გრძნობა და გონება აღაფრთოვანა სამამულო ომის ფრონტზე მილიონობით საბჭოთა მეომრის თავდადებამ და სიმამაცემ. საბჭოთა მწერალი თავის უწმინდეს მოვალეობად თვლიდა, მაღალმხატვრულად დაეხატა ხალხისა და სამამულო ომის გმირთა თავგანწირვა. ქართველი მწერლებიც ერთიანი ძალით ჩადგნენ დიდი ომის სამსახურში.

ომის პერიოდის ქართული პოეზიის მთავარი განმსაზღვრელი თვისება საბჭოთა პატრიოტიზმი იყო, ამით დაიწყო სამამულო ომის პოეზია. ქართულმა მწერლობამ დიდი ვალი მოიხადა მამულის წინაშე. შეიქმნა ბევრი კარგი ნაწარმოები.

ომის პირველი დღეებიდანვე მძლავრად გაისმა ქართველ პოეტთა საპროტესტო მოწოდება და მათ შორის იყო იოსებ ნონეშვილიც. მან განსაკუთრებული ემოციით გამოხატა ომის დროინდელი პერიოდი თავის ლექსებში. მათ შორის გამოირჩევა ლექსი „ სატევარი, მამა-პაპის სატევარი“:

„ჩემი ქვეყნის ძველთა ძველი მიწა-წყალი, მზედაკრული ვენახები რქახშირი,

თეთრ ღრუბლებში ანთებული ოქროს კვარი, ვარსკვლავები-ნაპერწკლებად გაშლილი,-

ვინ წაგვართვას, ვინ გაბედოს დაგვჩრდილოს, ვინ დასწყევლოს ქვეყნად ჩვენი გაჩენა?!

ვინც ვაჟკაცობს, ვინც წინაპრით გვარიშვილობს, ვისაც ერჩის გულიცა და მარჯვენაც,

ეს იმათი მახვილები კაშკაშებენ, ვინ წაუვათ ვერაგ მტერთა ურდოდან?!...“

იოსებ ნონეშვილი დიდი სამამულო ომის, ჩვენი ხალხის ამ მძაფრი ფიზიკური და სულიერი გამოცდის წლებში დავაჟკაცდა როგორც პოეტი. მის თითოეულ ლექსში გვესმის პოეტის მართალი გულის ფეთქვა, საბრძოლო ყიჟინა მტრის წინააღმდეგ. მისი ხმა იმედს და გამარჯვების რწმენას ღაღადებს.

სამამულო ომის ქვემეხების გუგუნში პოეტი მთელი გზნებით უმღერდა საბჭოთა მეომრებს, ფოლადის მუზარადიან ჯარისკაცებს, მათ, ვინც სიკვდილის წინააღმდეგ სიცოცხლისა და სიყვარულის გამარჯვებისთვის იბრძოდა, მათ, ვინც ხალხთა გამარჯვებას სჭედდა, ვინც ჩვენი სიცოცხლის გაზაფხულს იცავდა. პოეტი ნიღაბს ხდიდა ომის, რბევის, განადგურების, ხალხთა დამონების მოსურნე ადამიანებ. აღაგზნებდა ჩვენს ხალხს სამშობლოს სიყვარულის დიადი გრძნობით.(სულაბერიძე შ.1966:)

ლირიკული განცდით არის დაწერილი „ ჯარისკაცის სიმღერები“. ლექსიდან ნათლად ჩანს მჭედელი თუ ხარატი, მევენახე, მწყემსი თუ გუთნისდედა, რა გმირულად იცავდნენ საბჭოთა მიწის ყოველ მტკაველს. „ თუ რამდენი წმინდა სისხლი დაეპკურა მიწას, რომ გვეხილა შუქნათელი გაზაფხულის დარი“...

ულმობელ ბრძოლაში ბევრი ახლობელი ადამიანი დაეცა. ამ ტკივილით გამოწვეულ გრძნობას გამოხატავენ გულისდამწველი სტრიქონები:

„სად ხარ, ძმაო, ჩვენ სიმღერა ერთად უნდა გვეთქვა,
როგორ ჩააჩუმა შენი გულის ფეთქვა?!
თებერვალი მიიწურა, მარტი კარებს აღებს,
მზემ ღიმილით გადმოხედა საქართველოს ბაღებს.
ალბათ ახლა ჩრდილოეთშიც ჯარისკაცის საფლავს
უკვე გაჰკრა გაზაფხულმა ფრთამაღალი აფრა.
და პირველი ია-ია შენს საფლავს რომ შვენის,

სამშობლოზე ოცნებაა, ოცნებაა შენი“.

პოეტმა იცის, რომ უკვდავია სამშობლოსათვის თავდადებულთა სახელი: - „ მე ვნახე, როგორ უკვდავი სიცოცხლის გამომხატველი, თავზე დაადგა მათ საფლავს მარადიული ნათელი“.

ომის თემაზე დაწერილი ლექსების ლირიკულ გმირს პოეტი უპირველესად ასაზრდოებს დედასამშობლოსთან, მშობელ მიწასთან, ადგილის დედასთან დაკავშირებული ეროვნული ასოციაციებით. ქართველი დედა ამ სიტყვებით აცილებ ომში მიმავალ შვილს ლექსში „დედის დარიგება“:

„და თუ შვილო, შიშით უძლურს ტყვიას ზურგში გიპოვნიან,

ვიტყვი რომ შენ ჩემი ძუძუ არასოდეს გიწოვია“.

„დონის მიწაზე“ თუ სტალინგრადთან ქართველი მეომრის დაღვრილ სისხლს პოეტი აღიქვამდა, როგორც, უპირატესად საკუთარი კერიის დაცვისთვის თავშეწირვას და თავის მეომრულ ლირიკაშიც ეროვნულ დვრიტას დებდა. სწორედ ამგვარი პათოსით გამოირჩევა ლექსები : „ ადექ, აიღე ფრანგული“, „ ოთხი ძმა ლესელიძე“ „ ჩვიდმეტნი“, „ გორი ციხე“ , საახალწლო წერილი ფრონტზე“ , „ შენი მახვილი“, „ შენ, შენი ქვეყნის სახელს იცავდი“ , „ ბარათი ფრონტიდან“ და სხვა. ამავე დროს იოსებ ნონეშვილმა კარგად იცოდა, რომ მტერზე გამარჯვების დიდი გარანტია სწორედ ის იყო, საბჭოთა ხალხის მორალურ- პოლიტიკური ერთიანობა რომ ერქვა და სხვადასხვა ერის შვილები საძულველი მტრის წინააღმდეგ ერთიან დუღაბად რომ შეჰკრან. ერთიანი სამშობლოს დაცვის ინტერნაციონალური შეგნება და საკუთარი კერიის დაცვის პატრიოტული გრძნობა, ემოციურ მუხტადაა გამთლიანებული პოეტის ომისდროინდელ ლირიკაში. საბრძოლო ბატალიების მხატვრული ასახვა, გმირული სული კაცობრიობის უდიდესი ნაწილისათვის ყველა ეპოქაში იყო დამახასიათებელი. ქართველებში ომის აღქმას, მის მიღებას და მისგან გამოწვეულ მიზეზ-შედეგებს ყოველთვის ჰქონდა გავლენა ეროვნული ხასიათის ჩამოყალიბებაზე. კ. კაპანელი თავის ნაშრომში „ ქართული სული ესთეტიკურ სახეებში“ საგანგებოდ სწავლობს ამ მხარეს და ამგვარ დასკვნამდე მიდის:- „ საქართველოს ისტორიული თვისება ბრძოლაა, ჩვენში იბრძოდნენ არა მარტო მამაკაცები, არამედ ქალები“. (კაპანაძე. კ 1996, 315) ჩვენმა მწერლობამ ბუნებრივად

მიიღო ამგვარი ტრადიცია და აღმავლობითი პათოსით გაჯერებული ნაწარმოები შემოგვთავაზა. საუკუნოვანი ტრადიციები გრძელდება ი. ნონეშვილის ომის თემაზე შექმნილ ლექსებში(მიშველაძე რ, 1966:297).

ი. ნონეშვილი ერთადერთი პოემის ავტორია და ისიც სამამულო ომის ლეგენდარულ გმირზე , 1944 წლის 10 აპრილს გესტაპოს ჯურღმულებში დაღუპულ სიმფეროპოლელ ქართველ პარტიზან ქალიშვილზე ზოია რუხაძეზე გახლავთ. „ ამბავი ერთი ქალიშვილისა“ საკმაოდ ვრცელი ეპიკური ტილოა ომის ქარიშხლიან დღეებზე შექმნილი. აღსანიშნავია ისიც, რომ პოეტმა თვითონ მიაკვლია ყირიმში ზოია რუხაძის საფლავს, დავიწყების მტვერი გადააცილა მას და არამარტო გაუცოცხლა ერს თავისი მებრძოლი ქალიშვილი, არამედ ამ შესანიშნავი პოემით ჭეშმარიტი ლიტერატურული ძეგლიც აუგო „ ქართველ ზოიას“.

პოეტი ამბობდა:- ჩვენ ვალდებული ვართ თქვენი გმირობა კალამს გავანდოთ, თქვენი ვაჟკაცური სახე პოეტურ სიტყვაში გამოვხატოთ, უნდა ვთქვათ იმათ შესახებ, ვინც „სიკვდილს შეება ისე ძლიერად, რომ ქვეყნად სიცოცხლეს ებედნიერა“;

„სიმფეროპოლის ძველ ჯურღმულებიდან
გვიხმობს ზოია რუხაძის ლანდი“

ი. ნონეშვილი წავიდა იმ გმირ ქალაქში, ინახულა ყოფილი ბრძოლის ველი, გამოიკითხა ზოია რუხაძის ამბავი და სამი წლის შემოქმედებითი შრომის შემდეგ დაწერა პოემა. პოემაში გაცოცხლებულია საბჭოთა პატრიოტის, ზოია რუხაძის თავგადასავალი, მისი თავგანწირვა სამშობლოსათვის, მისი პარტიზანული ცხოვრება. განსაკუთრებით შთამბეჭდავია პოემის თავები: „ფიქრები მშვიდობაზე“, "ყირიმის ტყეში“, „წამება“, და „უკვდავება“. პოეტი ზოია რუხაძეს სახელოვან წინაპართან , სამშობლოსთვის წამებულ შუშანიკსა და ქეთევანთან აკავშირებს და ამბობს:

„მაგრამ იაკობ, შენც თეიმურაზ,
განა ზღაპრადაც გაგიგონიათ
წარმოიდგენდით განა იმ სურათს
როგორ აწამეს ჩვენი ზოია.“

ზოია რუხაზე პოემაში ნაჩვენებია, როგორც ზოია კოსმოდეიმინსკაიას შემოქმედებით შთაგონებული გმირი. პოეტი ასე გამოხატავს მათ სულიერ თანაზიარობას:

„მე შენ გამოგყე ბრძოლის დიდ გზაზე
მეც ჩვენი ქვეყნის სიკეთე მსურდა
გამბედაობას და სიმამაცეს
დაო მე შენგან ვსწავლობდი მუდამ.
ჩვენ ხომ ორივეს გვსურდა მშვიდობა
სწავლა გვინდოდა, შრომა გვინდოდა!..“

პოეტი ანზოგადებს სამშობლოსთვის თავგანწირულ ადამიანთა უკვდავების იდეას. ახლაც შორეულ კორეაში, როცა ამერიკელებისაგან ხეზე მიკრულ საკინძეჩამოხეულ გოგონას ეკითხებიან ვინა ხარ? სად იყავ, თქვენი ნაწილი სად არისო? ის შეუდრეკლად უპასუხებს: „ - ჩვენი ნაწილი ყველგან არის, სახელი გინდათ ზოია მქვია“, იმეორებენ ისინი. ბოლოს დასძენს პოეტი: „ სამშობლოსათვის მებრძოლ ქალიშვილს, ყველა ქალიშვილს ზოია ქვია“. ასე ქცეულა ზოია გმირობისა და ვაჟკაცობის სიმბოლურ სახელად:

ბედის ძებნაში დააღამა წუთისოფელი,
მაგრამ ვერ იქნა, ვერ იპოვა აღქმული მხარე.
ზღვის გაღმა დარჩა საქართველო- მხარე მშობელი,
მშობელი ხონის ცა მოელვარე.

ომის დამთავრების შემდეგაც არ განელებულა პოეტის სულში სამამულო ომის მძლავრი ექო. ცრემლით იგონებს პოეტი დაღუპულ გმირებს და თავის თანამედროვეებს ავალებს მარადჟამს შეინახოს სამუდამოდ წასულთა წმიდათაწმიდა ხსოვნა. პოეტურად აშრიალდნენ ლექსში- „ ძმები ნერგები“ სოფელ კარდენახში შინმოუსვლელთა უკვდავსაყოფად დარგული ხეები:

მეც თქვენთან ვიყავ, როგორც იტყვიან მეც ცეცხლის ალი მეცვა პერანგად,
ვაჰ თუ თქვენ მოგხვდათ, ძმებო, ის ტყვია, მე რომ მესროლა მტერმა ვერაგმა....
მხვდება ოთხასი ნერგი შრიალა- მუხა, მურყანი, ცაცხვი, მოცხარი...

იქნებ ოთახის ნერგი კიარა, ოთხასი ძმა ხართ მარად ცოცხალი.

ასევე ღრმად შთამბეჭდავია 1946 წელს დაწერილი ლექსი „ ნუ ითამაშებ შვილო ომობანას“ . მოზარდთა უწყინარი თამაშიც კი „ ომთან დაკავშირებული“ ამ ლექსის ლირიკული გმირის სულში სევდიან ასოციაციებს ბადებს:

მე ბედად გადავრჩი, სისხლი დრომ მომბანა

ახლა შენით ვხარობ...სხვა რა გამაჩნია,

ნუ ითამაშებ, შვილო ომობანას, ცუდი თამაშია!“

იდგა იოსებ ნონეშვილი მწერალთა ბულგარეთის საერთაშორისო სიმპოზიუმის ტრიბუნაზე და მსოფლიოს გასაგონად ამბობდა: „ ჩვენი ვალია შთამომავლობას დავუტოვოთ არა ქვის ცულები და ხელკეტები, არამედ ადამიანის კეთილგონიერებას დამორჩილებული ინდუსტრია. ყველას რომ გასწვდება გამჭვირვალე ცა, ცისფერი მდინარეები , ჩვენი მარჩენალი ველ- მინდვრები. დღეს კი ერთი ყურმბარმზიდის ფასად სამ მილიონ ტონაზე მეტი ხორბლის ყიდვა შეიძლება, ხოლო ერთი რეაქტიული თვითმფრინავის ფასად ასი ათასი ტონა შაქარი შეიძლება შევუძინოთ ჩვენს ბავშვებს“. (მიშველაძე რ. 1966:312)

იოსებ ნონეშვილის ლექსები იმთავითვე დიდად ეხმაურებოდა ჩვენი ხალხის ცხოვრებას. სამამულო ომის წლებში ეს ლექსები მოუწოდებდა ხალხს დაეცვათ საკუთარი სამშობლო, ხალხთა საოცნებო პირველი სოციალისტური სახელმწიფო. ომის შემდგომ პერიოდში პოეტის ლექსები კვლავ მოგვიწოდებს გმირული შემოქმედებითი შრომისკენ, მშვიდობისა და სიცოცხლის დასაცავად. მისი ლექსები სამშობლოს სიყვარულით გვაფაქიზებს, გრძნობაში გვაჯიბრებს.

მეხუთე თავი

პოეტური მეტყველება და მხატვრული სახეები იოსებ ნონეშვილის შემოქმედებაში

საგანგებო მსჯელობის ღირსია ქართული ლექსის რიტმულ-ინტონაციურ და სახეობრივ გამდიდრება-გამრავალფეროვნებაში იოსებ ნონეშვილის განუმეორებელი წვლილი (მიშველაძე რ,1998:312).

ი. ნონეშვილი მკაფიოდ გამორჩეული მსოფლშეგრძნებისა და განწყობილების თანამედროვე ქართველი პოეტია. მის სტრიქონს, ფრაზას, სახეს, ინტონაციას, ლექსს მთლიანად აქვს თავისებური იერი და ნაკეთოვნება, ჟღერა და ფეროვანება.

ი. ნონეშვილის პოეტური პალიტრა ძალზედ წმიდაა და გამჭვირვალე, რაც ხელს გვიწყობს მისი პოეზიის უაღრესად ფაქიზი, მსუბუქი ჰანგის წიაღისეული პოეტური ფასეულობის მრავალფეროვნების აღქმაში, მისი პოეზიისთვის დამახასიათებელია მეტი გრძნობიარობა, მეტი სითბო, მეტი სინაზე, რითაც პოეტი მუდამ ოსტატურად ხატავს ცხოვრებისადმი მძაფრ, სოციალურ მოვლენებსა და ყოფით სურათებს. (ფორჩხაძე შ.1977: 255)

იოსებ ნონეშვილის პოეზია იმითაც არის ცნობილი, რომ მას ახასიათებს მხატვრული სახის ჭარბი სინათლე, პოეტური წარმოსახვის მეტი რეალურობა, რისი წყალობითაც პოეტმა ადრევე გამოიმუშავა უთუოდ თავისებური პოეტური ხელწერა და მოხერხებულად აარიდა თავი პოეზიაში ყოველნაირ ნაძალადევ ხელოვნურობასა და ბუნდოვანებას. შეიძლება ითქვას, რომ იგი აბსოლუტური სმენის პოეტია და მისი ლექსის ემოციური ძალმოსილება უმთავრესად დამყარებულია შინაგან დინამიკაზე. პოეტი შეგნებულად გაურბის მომაბეზრებელ, ეგრეთ წოდებულ მოჩვენებით ფილოსოფიურ მსჯელობასა და უმრავლეს შემთხვევაში მეტად ხალისიან პოეტურ სახეებსა და სურათებს ქმნის.

პოეტის ლექსი იმთავითვე გამოირჩა არა იმდენად ფორმალური ძიებით (ამ მხრივ პოეტი ბოლომდე ერთგული დარჩა რითმიანი, მეტაფორული, კონვენციური ლექსისა), არამედ სათქმელის ორიგინალურობით და მოვლენებთან ახლებური, იოსებ ნონეშვილისეული კავშირის დამყარების უნარი. (მიშველაძე რ, 1998: 312).

ქართული ფოლკლორითა და კლასიკური პოეზიის ტრადიციებით ნასაზრდოები მისი ლექსი გამოირჩევა ლაკონურობითა და სინატიფით. იოსებ ნონეშვილისთვის უცხო იყო მიეთ- მოეთებით, რებუსებით და ბუნდოვანი სახეებით აზროვნება, იგი თემასთან მისვლის უმოკლეს გზას ირჩევდა და სათქმელს პირდაპირ, ხელოვნური ზიზილ-პიპილების გარეშე ამბობდა, ამ სისადავემ ზოგიერთ კრიტიკოს ლექსის გაპრიმიტიულების საშიშროება მოაჩვენა, მაგრამ დრომ დაამტკიცა, რომ იოსებ ნონეშვილის ლექსი დემოკრატიული პოეზიის გამძლე საყრდენებზე იდგა და გულუბრყვილობისა და ზედმეტი გაუბრალოების სენი არ ემუქრებოდა.

იოსებ ნონეშვილის პოეტური თვალი უაღრესად მახვილი და ზუსტი, მხატვრული სახეები კი ასეთი კონკრეტული და ფერწერული იყო. ამის მაგალითია ლექსი „როგორც იმედის დიდი აფრები“:

„მთვარე ახალი მთებს მობჯენილი ,
გატყდა, ვით თურქის იატაგანი,
და მთაწმინდაზე, დედის ცრემლივით
გაღვივდა ერთი იათაგანი“

შოთა სულაბერიძის აზრით, იოსებ ნონეშვილის „პოეტური სტილის მთავარი თვისებაა პათოსი, აღმაფრენა, მგზნებარება. იგი ამაღლებული, მღელვარე ინტონაციის პოეტია. მისი ხმა ვნებიანია, ჟინითა და ტემპერამენტით გამორჩეული, მაგრამ ეს არ არის მძლავრი, ომახიანი ტემპერამენტი, ზვავივით მომსკდარი და გრგვინვით დაქუხებული. თითქოსდა სისხლის კი არა, სულის ჩქროლვით დანთებული“.

იოსებ ნონეშვილისათვის უცხო იყო ეკლექტიზმი, ერთ ლექსში რამდენიმე თემის გაერთიანება, სხვადასხვა საგნების და მოვლენების არევ-დარევა, მათი უპრინციპო შეერთება. პოეტს ღრმად სწამს, რომ ცხოვრების წამმართველი აზრი ადამიანობაა.(ჯიბუტი ვ, 1982;120)

იოსებ ნონეშვილის პოეტური მეტყველება, მისი ენა მდიდარია საღებავებით, ჩუქურთმოვანია და ორნამენტებით შემკული. პოეტს არ უყვარს მშვიდი, თავდაჭერილი, სიტყვაძუნწი საუბარი. მისი სტიქია მჭერმეტყველებრივი ფეირვერკები, რომლებშიც კაშკაშა ფერები გვაწონებენ თავს, ელვარე მეტაფორები და შედარებები, ეფექტური

ეფითეტები, ფრთიანი თქმები. „ელნათურები დაბინდულ სივრცეს ამოეფარნენ ოქროს ღილებად“, „ მიდის ცხვრის ფარა და ვარსკვლავები პატარა კრავებს ეჟვნებად მიაქვთ “, „ ცისარტყელით ავწევთ ღრუბლის ფარდას“, „ სათიბებში დაგვეწევა მთვარე - საბალახოდ გამოსული ირემი“. „ ეგ თმები კლდეებზე ჩანჩქერად მინახავს“, „ ელსადგურები სხივებს ფანტავენ, თითქოს იქნევენ ცეცხლის მუგუზლებს“, „ ველზე მიქრის გაზაფხული- მხედარი, უნაგირზე ყვავილები სჩანან“, „ცისარტყელა მხარზე მშვილდათ ჰკიდია, ბღუჯა-ბღუჯა ისვრის სხივთა ისარს“, „ თუ საქართველო არის ედემი, შენ მის ბულბულად ღმერთმა დაგბადა“, „ქართულ ედემში ბიბლიურად ჩაფიქრებული, წვერმოშვებული დადიოდი მამაღმერთივით“,- ამგვარი ენამზეობით, ოქროპირობით გამორჩეული პოეტური ფიგურები შეადგენენ იოსებ ნონეშვილის სიტყვიერი მხატვრობის მთავარ სტილურ ნიშანს.

განსაკუთრებით უყვარ პოეტს ფრთიანი თქმები. იგი საგანგებოდ ზრუნავს, რომ საყურადღებო აზრი ლამაზ და სხარტ ფრაზაში ჩაატიოს. მის ლექსებში ჩვეულებრივია ასეთი ენობრივი კომპოზიციები: „ ჩვენ სიჭაბუკის ჩაფხუტი გვხურავს, ტანზე გვაცვია მისი ბეგთარი“, „ ჩვენგან ყველაზე შორს თქვენ წახვედით, ამით ყველაზე ახლონი გახდით“, ან კიდევ:

გეყო დასვენება, ნასვენო მიწავ,
გამხნევდი, არა გაქვს ჯერ ძუძუ დაცლილი,
გეყო დასვენება, ნასვენო მიწავ,
უნდა დაიღალო მშრომელი კაცივით.

ამ მხრივ პოეტი ხშირად აფორისტულ გამომსახველობას აღწევს: „ ქვევრი გულსა ჰგავს კაცისას, უცეცხლოდ ამომდუღარი“, „ ერთად რომ ამოვისუნთქოთ, ამოვარდება გრიგალი“, „ ნუ იწვიმებ!- ვინ უბრძანოს ღრუბელს“, „ ნაპირთან შებმით არ იღლება ტალღა არასდროს“, „ რა კაცია, ეზო-კარი ვინც ნარ-ეკლით შემოღობა“. ამგვარ ენობრივ კონსტრუქციებს პოეტი ხშირად იყენებს თავისი ლექსების არქიტექტურაში. ასეთი ორნამენტი ზოგჯერ ელვარე საღებავებითაა მოსმული კომპოზიციის რომელიმე წერტილში, ზოგჯერ მის დამაგვირგვინებელ დეტალს წარმოადგენს, ზოგჯერ კი მთელი კომპოზიციის ხერხემალია და რამდენჯერმე მეორდება მის სივრცეში.

ი. ნონეშვილის პოეტური მეტყველების საერთო ფონზე დაკვირვებულ მკითხველს შეუნიშნავი არ დარჩება მისი ერთ-ერთი ლექსის სტრიქონები:

„ასეა თურმე... უცხო მხარეში

მშობელი მიწის სუნიც მოგშივა“

ამ სტრიქონებში ყურადღებას იპყრობს სიტყვა „ მოგშივა“, რომელიც, ჯერ ერთი, უჩვეულო კონტექსტშია ნახმარი, მეორეც, უმართებულო გრამატიკულ ფორმას წარმოადგენს. სიტყვის უჩვეულო კონტექსტში ხმარება ერთ-ერთი ძლიერი მხატვრული ხერხია, რომელსაც, ჩვეულებრივ, პოეტები მაშინ მიმართავენ, როცა სურთ დიდი შთაბეჭდილების მოხდენა, აზრის თუ ემოციის რაღაც ნიუანსის მკვეთრი ხაზგასმა, ფაქტისა თუ მოვლენის მოულოდნელი შინაარსით გამოშუქება და ა.შ. რაც შეეხება ლექსში უმართებულო გრამატიკული ფორმების გამოყენებას, იგი ხშირად სტრიქონში მარცვალთა რაოდენობის დაცვით არის ნაკარნახევი და ცხადია დიდი ცოდვაა პოეტისათვის, მაგრამ ზოგჯერ, კერძოდ ამ შემთხვევაშიც კი, იგი ნაკარნახევია სიტყვის ბგერითი ჟღერადობით, მისი ევფონიით და გარკვეული მხატვრული ხერხის ფუნქციას ასრულებს. პოეტისათვის არ არის დამახასიათებელი სიტყვების გამოყოფის, მათი ხაზგასმის დასახელებული ხერხები, სათანადო ნიმუშები თითებზე ჩამოსათვლელია მის შემოქმედებაში, მაგრამ უნდა ითქვას, ამ იშვიათ შემთხვევებშიც იგი ზოგჯერ არ არის ორიგინალური და ნასესხები ფორმებით სარგებლობს. მაგალითად, ერთ-ერთ ადრინდელ უსათაურო ლექსში (შენ სიყმაწვილის გაზაფხულზე დამტოვე მარტოდ) მას აქვს სტრიქონი: „ ვიდოდი ფიქრით მოღალული და განათელი“. ეს სასიამოვნოდ მჟღერი „მოღალული“ მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა პოეტმა, ცხადია, ისესხა გალაქტიონ ტაბიძისაგან, რომელსაც რამდენიმეჯერ აქვს ეს ფორმა ნახმარი მის ლირიკულ შედევრებში, კერძოდ, თავის ცნობილ ლექსში -„მერი“. პოეტს, რომელიც, მისივე თქმით, „ ჭაბუკობუკობის ჟამს სიყვარულით უანკარესით“ იყო შეყვარებული დიდი მგოსნის „მერიზე“, ახალგაზრდობაში კიდევ ეპატიებოდა ასეთი გადამღერება, მაგრამ როცა პოეტი ლექსიდან ლექსში იმეორებს ამ ნასესხებ ფორმას და თითქმის ამკვიდრებს თავის პოეტურ ლექსიკონში, ეს უკვე დამაფიქრებელია და კიდევ უფრო მწვავედ გვაგრძნობინებს მისი ენის ერთ საგულისხმო ნაკლოვანებაზე. პოეტი მეტისმეტად

ენდობა თავის მეტაფორულ აზროვნებას, თავის სიტყვაფრთიანობას, ენობრივი ჩუქურთმების გამოკვეთისა და ლამაზი ორნამენტებით მათი შემკობის უნარს და სათანადოდ არ ზრუნავს პოეტური ლექსიკის სიახლეზე, არ ეძებს გაუცვეთავ, პოეზიაში ჯერ უხმარ ლექსიკურ მასალას ხალხური სალაპარაკო ენიდან. მისი ლექსიკა თითქმის სულ ნაცნობია ჩვენთვის, უფრო სწორა, ტრადიციულია, დიდი ხანია დამკვიდრებულია პოეტურ მეტყველებაში და, თუ შეიძლება ითქვას, ფართო მოხმარების საგანს წარმოადგენს დღევანდელ პოეზიაში. ამის გამოა, რომ პოეტის შემოქმედებაში ასე იშვიათია არა თუ ლექსიკური ნეოლოგიზმები, არამედ სტილისტური სიახლით გამორჩეული სიტყვები და რაც მთავარია, ხალხური წიაღიდან ამოკრეფილი, გაუცვეთავი ლექსიკური ფორმები. ეს პოეტის შემოქმედების დიდი ნაკლია. ლექსიკური სიახლისადმი უყურადღებობით პოეტი დიდად აღარიბებს თავის ნიჭს, ბევრ ლაზათსა და ემოციურ ძაბვას აკლებს თავის ლექსებს. როცა ჩვენ ვკითხულობთ, მაგალითად გ. ლეონიძის, ს. ჩიქოვანის, ი, აბაშიძისა და ზოგიერთი სხვა პოეტის ლექსებს, ყოველთვის გვაქვს იმის მოლოდინი, რომ პოეტი რაღაც ახალი, კოლორიტული სიტყვით გაგვახარებს, რაღაც ხალხური, არაწიგნიერი ლექსიკური ფორმით შემოგვანათებს.

იოსებ ნონეშვილის ლექსი ხან ფერწერული სურათოვნებით გამოირჩევა, ხანაც პლასტიკური მოქნილობითა და საგნობრივი სისავსით. პოეტი ხან ფუნჯის მოსმას ამჯობინებს, რომ ფერების ეფექტით დაგვიმორჩილოს, ხანაც საჭრეთელს იმარჯვებს და სკულპტურულ ფიგურებს ძერწავს.

„შენი თმების ფერი აქვს ყაზახეთის ღამეს,
მაგ ბაგეთა ფერი აქვს განთიადზე ცას.
მზე ეფინა ველებზე ყვავილებს და ყანებს
და ეგ შენი მზიური გაღიმება ვცან“.

ეს სურათი მთლიანად ფერწერული გააზრებითაა შესრულებული. აქ ყველაფერი ფერების შეგრძნებაზეა დამყარებული. მთელ ამ სურათს, მის მეტაფორულ შინაარს, ამ ყაზახი ქალის თმებს, ბაგეებს, ღიმილ, ამ ღამეს, ცას, განთიადს, ველებს, ყვავილებსა და ყანებს ჩვენ ფერებით ვგრძნობთ და ვხედავთ, თითქოს მათ არც ჰქონდეთ ფორმა, საგნობრივი კონკრეტულობა. სამაგიეროდ, ქვემოთ მოყვანილ სტრიქონებში ფერის

შეგრძნება თითქმის სრულიად გამქრალია და ჩვენ ვხედავთ რელიეფურად გამოკვეთილ, პლასტიკური მოძრაობით გაცოცხლებულ სკულპტურულ კომპოზიციას, რომელიც მხოლოდ სხეულებრივ პროპორციებში შეიძლება წარმოიდგინოს მკითხველმა:

„გასტეხე ქოქისი ვეება კაკალი
და გამომიწოდე, ვით ღვინის ფიალა.
წყურვილი მომიკლა იმ წვენმა კამკამამ,
დასიცხულს ათასი ხე მომიშრიალა“.

პოეტის შემოქმედებაში ფერწერულ და სტრუქტურული სახეების არსებობაზე ლაპარაკი, რათქმაუნდა, ერთობლიობითია და მხოლოდ იმას გულისხმობს, თუ როგორ ხედავს ან განიცდი იგი საგანს თუ მოვლენას. დავაკვირდეთ ქვემოთ მოყვანილ სტრიქონებს:

„მარცხნივ ბზინავს ფორთოხალი
მარჯვნივ ვაშლის მთებია
და ტიკები, ლოთებივით
ღობეს მიჰყუდებიან“.

ამ ნატურმორტში, როგორც ვხედავთ, პოეტი ახსენებს ფორთოხალს, ვაშლს, მთებს, ლოთებს, ბოძებს. თითოეული მათგანის წარმოდგენა ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ გარკვეული ნიშნებით. ერთ ასეთი არსებითი ნიშანი არის თითეულისათვის დამახასიათებელი თავისებური ფორმა. მაგრამ ფორმის გარდა, ყოველ მათგანს აქვს კიდევ მრავალი არსებითი ნიშან-თვისება. მაგ: ფორთოხლის მცნება აუცილებლად გამოიწვევს ყვითელი ან მწვანე ფერის წარმოდგენას, მთა შეიძლება იყოს მწვანით შემოსილი, დათოვლილი ან ხრიოკი, ბოძი- თეთრი, შავი და ა. შ. მაგრამ პოეტისათვის ყოველთვის ერთნაირად მნიშვნელოვანი არ არის საგნისა თუ მოვლენის ყველა ნიშანი. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ოსტატის თვალი მხოლოდ ერთი რომელიმე თვისებით შეიცნობს მათ და სწორედ ამაში მჟღავნდება მისი ფერწერული თუ სკულპტურული ხედვა. მშობლიური კუთხის სილამაზე ლირიკული შთაბეჭდილებებითაა დახატული ლექსში __ ,,დაღამდა თითქოს ცაზე დასცალეს ლალის მტევნებით სავსე

კალათა,,. ეს არის დეტალებით მდიდარი და დინამიური პეიზაჟური სურათი, რომელშიც ბუნება და ადამიანები ჰარმონიულ ურთიერთობაშია დანახული და ემოციურად განცდილი:

სავსე ურმები ზანტად მიდიან,
დგას სურნელება უხვი მოსავლის.
კავკასიონის მწვერვალს ჰკიდია
ცა-ვარსკვლავები კრიალოსანი.

თუ ამ ლექსში ი. ნონეშვილი ლირიკული პეიზაჟის ხატვის ოსტატობით ავლენს და კახური შემოდგომის ღამის სურათის პოეტურ მშვენიერებას განგვაცდევინებს, სამაგიეროდ მეორე ლექსში ___ ,,ჭალაში არყის სახდელი“ იგი კოლორიტულ ჟანრული სურათის შექმნით იპყრობს მკითხველ:

ჭალაში არყის სახდელი,
არყისა ხეების წყება.
ცა მტრედისფერი გამხდარი,
მთვარის ნალეევიც ქრება.
ლამპარიც ვეღარ კაშკაშებს,
კუთხეში სულსღა ღაფავს, _
და ერთი მთვრალი ვაჟკაცი
აღარ ათავებს ზღაპარს.

ამ სურათში მთელი სიცხადით, გამომსახველობით დეტალებისა და სივრცის რელიეფური განცდითაა დახატული მოახლოებულ დილის ბინდში გახვეული არყის სახდელი და მისი გარემო. ლექსი დაწერილია 1946 წელს, ომისშემდგომ პირველ წელს, როცა ნაომარ ვაჟკაცებს ჯერ კიდევ არ განელებიათ იმ დღეების ცოცხალი შთაბეჭდილებები. ლექსის გმირი სწორედ ერთი მათგანია, იგი გამარჯვებული, მრავალი ბრძოლა გამოვლილი დაბრუნებია მშობლიურ სოფელს, უკვე პირველი მშვიდობიანი წლის მოსავალიც მოუწევია და ახლა თანასოფლელებთან ერთად ჭალაში არაყს ხდის, ღამეს ათევს, მეგობრებთან ლაღობს და ეშხზე მოსული სიამაყით იგონებს, როგორ უტევდნენ ვაჟკაცი ბიჭები მომხდურ მტერს.

სხედან ქუდნაბდიანები,

ჯიხვის რქებს სცლიან ხარბად

და ყურს უგდებენ მთვრალები

გაუთავებელ ამბავს.

წერს ავტორი და ნათლად ვხედავთ ამ ,, ქუდნაბდიან“ კახელ ვაჟკაცებს, არყის ქვაბთან რომ მიმსხდარან და ხარბად სცვლიან ჯიხვის რქებს.

მოვლენების კონკრეტულ სახეებში გაცოცხლებითა და სინამდვილის უშუალო პოეტური აღქმით იპყრობს მკითხველის ყურადღებას ლექსი ,, აი კახეთი“ , რომლის ყოველი სტრიქონით სუნთქავს ავტორი. ლექსში თავისებური ემოციური აქცენტით გამახვილებულ განწყობას ქმნის თანამედროვეობის და წარსულის მოვლენების შეხმიანება, თანამედროვეობის ცოცხალ სურათში მკვნესარე ლაიტმოტივივით გამომკრთალი წარსულის მოგონება:

„ აი, კახეთი...

მთებზე, ველებზე

რომ არ ცხრებოდა ხმლების თარეში.

თვალმოციმციმე ქალიშვილები

ყვავილებივით სჩანან ყანაში.

ნაციხარებიც ჰყვავის ამიერ,

ათასი ბრძოლით გადაბუგული,

და დარბაისლურ ,, მრავალჟამიერს,,

გულიდან გულზე გააქვს გუგუნი“.

ამ პოეტური ხერხის გამოყენებით ავტორი შესამჩნევად ამძაფრებს განცდას, მეტი ინტენსივობით გადასცემს მკითხველს თავის ფიქრთა ღელვას და უფრო მკაფიოდ გვაგრძნობინებს დღევანდელობის სიკეთესა და სილამაზეს.

ბუნება მხოლოდ პეიზაჟის სახით კი არ მკვიდრდება ამა თუ იმ ერის პოეზიაში, არამედ პოეტური აზროვნების, ხილვების, განწყობილების, სახეების მოტივების ერთერთი ძირითადი წყაროა და თავისებურებას ანიჭებს თითოეული ერის პოეტურ შემოქმედებას ქართველი პოეტების განწყობილებებს, მათ მსოფლშეგრძნებას სავსებით

თავისებური ნიშნებით აღბეჭდავ მშობლიური პეიზაჟი- ზვიადი მთები, მქუხარე მდინარეები, ლამაზი ხეობები, მწვანედ მოღაღანე ველ-მინდვრები, ხალიჩასავით მოხატული ფერდობები, სალამურივით მორაკრაკე ნაკადულები, ბუნების ფერთა ელვარება და მრავალგვარობა. (სულაბერიძე შ.1966:25).

რითმების რკალური ხერხისა და პოეტური თხრობის მანერის გამოყენებით პოეტი ამ ერთ სტროფში შესანიშნავად ახერხებს კახეთის კოლორიტული პეიზაჟური სახის, მისი მთლიანი ელფერის შექმნას:

„ აი, კახეთი... მუხლებმაგარი
გომბორი, ცას რომ მხრებით ეხება,
ივრისპირებზე ფრთხილი ვერხვები
და შეთოვლილი მთების ფაფარი.“

ეს ელფერი თითქოს ცამდე აწვდილი „ მუხლებმაგარი გომბორის“ ივრისხეობისა და მის ნაპირებზე ფრთხილად მოშრიალე ვერხვების მარად „ შეთოვლილი მთების“ ერთობლივ „ანსამბლში“ ისე ემოციურად და ბუნებრივად ისახება, რომ მკითხველს ძალაუნებურად უქმნის მთელი ამ დიდებული მხარის „სივრცობრივ კომპლექსზე“ ნათელ და ამაღლებულ წარმოდგენას, უღვიძებს, უფაქიზებს და უვითარებს სიყვარულს თავისი სამშობლოს ბუნებისადმი. ამ სიყვარულს აორკეცებს პოეტის მიერ მისი გმირული წარსულის მოგონება და განახლებული, ახალი ყოფის გულწრფელი გამოხატვა.

რამ მიანიჭა მაინც ამ ლექსს („აი, კახეთი“) განსაკუთრებული ელვარება? ლირიკული თხრობის სისადავემ, სიწრფელემ თუ რითმულმა სხვაობებმა? არა მხოლოდ ამ ნიშნებმა, არამედ ამათთან ერთად და ამათზე მეტად ამ ორიგინალურმა ჭეშმარიტად პოეტურმა გაელვებამ, პოეტური სემანტიკის იმ მომხიბვლელმა ელემენტმა, რომელიც შესანიშნავი, მკაფიო მხატვრული შედარების სახით გამოჩნდა ამ ათ სტროფიანი ლექსის მეშვიდე რკალში:

ზოგან ალაზნის ტალღა ჩაიმღერს,
ზოგან ქაფქაფებს ზვირთი იორის
და აქლემების ქარავანივით
მიიზლაზნება კავკასიონი.

აი სწორედ პირველივე სტროფის ბოლო სტრიქონებიდან ჩვენს მეხსიერებაში ცოცხლად აღბეჭდილი, ერთი მხრივ, „შეთოვლილი მთების ფაფარი“ და, მეორე მხრივ, მეშვიდე სტროფში „აქლემების ქარავანთან“ მოხდენილად შედარებული ეს „ კავკასიონი“ და ივრის ზვირთების „ქაფქაფი“ , როგორც ესთეტიკური ფენომენები, ქმნიან მშვენიერების იმ მაღალ, ემოციურ განცდებს, რომლებიც შინაგანი უხილავი ჯადოსნური ძაფებით ერთმანეთთან მჭიდროდ აკავშირებენ პოეტს და მკითხველს.

როდესაც იოსებ ნონეშვილის ლექსებს ვკითხულობთ, ვგრძნობთ ქართული ლექსის სურნელს. ყოველივე ამას პოეტი ოსტატურად უფარდებს სათქმელს. მისი ლექსების ინტონაცია მოწოდებითია, ფართო აუდიტორიისთვის განკუთვნილი. ამ ინტონაციის მახვილი კი ყოველთვის გამომწვევია, მიზნობრივად გაანგარიშებული, რაც მის ლექსებს თავისებურ ელფერს ანიჭებს. განგებ გაბუნდოვნებული, დანისლული სტრიქონები არ სჩვევია პოეტს. ბარაქიანი ქართული ენა თავისუფლად და ძალდაუტანებლად მოედინება. მის სტრიქონებში ხშირად იელვებს კლასიკოსების ლექსებთან უშუალო მსგავსება. ასე მაგალითად:

„მოღუღუნებენ ჩონგურნი,
ზედ ლამაზები გალობენ
ქალები ვარდებს სწუნობენ
ვარდები ყმაწვილქალობენ.

ამრიგად, იოსებ ნონეშვილმა ფართო მკითხველი საზოგადოების ყურადღება სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის პირველ ხანებიდანვე მიიქცია თავისი საკუთარი პოეტური ხელწერით, საკუთარი ხმის გამომუშავების, საღი და ნათელი პოეტური სახეების შექმნის გზით.

მეექვსე თავი

მშობლიური ენის სიყვარული იოსებ ნონეშვილის შემოქმედებაში

უძველესი დროიდან ქართული ენა უდიდეს როლს ასრულებდა ერთიანი სახელმწიფოებრივი აზროვნებისა და ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბებაში. არაერთ სწავლულს შეუსხამს ხოტბა - დიდება ამ ძვირფასი ეროვნული საუნჯისთვის. მათ შორის საგულისხმოა იოანე ზოსიმეს აზრი, გამოთქმული ნაშრომში „ ქებაი და დიდებაი ქართული ენისაი“, სადაც ქართული ენა ღვთით კურთხეულ ენად არის მიჩნეული და რომ მეორედ მოსვლის დროს ქრისტე ღმერთი ამ ენაზე განიკითხავს ქვეყანას.

დედაენას, მშობლიურ ენას ოდითგანვე სიცოცხლის ფასად იცავდნენ ქართველი ერის ღირსეული შვილები. ეს არის სწორედ ის სიწმინდე, რომელშიც ღრმად არის გამჯდარი ქართველი კაცის ეროვნული სულისკვეთება. ქართველი პოეტები თავიანთ ლექსებში ცდილობდნენ ამ საუნჯის აქტიური, მუდმივი პროპაგანდით ხალხისთვის ეთქვათ, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი საუნჯე გაგვაჩნია ჩვენ, ქართველებს. ეს იყო მუზა თითოეული ქართველი პოეტისათვის, რომლის გარეშეც მათი პოეზია ვერავითარ შემთხვევაში ვერ იქნებოდა სრულყოფილი.

ქართველი პოეტები სხვადასხვა მეტაფორებითა და შედარებებით ცდილობდნენ მაღალ რეგისტრში აეყვანათ დედაენის ცნება და გაგება. ზოგიერთი მას ადარებდა „ღმერთს“. მუხრან მაჭავარიანი თავის ლექსში „ენა ქართული“ ამბობს:

ქართული მარტო ენაა?!

ქართული ქართველთ რწმენაა!

ღმერთია! ბედისწერაა!

ზღვა როა! იმოდენაა!

ან კიდევ გავიხსენოთ შოთა ნიშნიანიძის ლექსი „ გოგებაშვილის დედაენა“:

იდიდე წიგნი, იდიდე!

ქართული სიტყვის ლაზათო,

ღმერთი თუ, არა ღმერთკაცი

იქნებ კვლავ ბევრი გაზარდო.

გავიხსენოთ დიდი იაკობ გოგებაშვილის, თვით „დედაენის“ ავტორის ბრძნული დარიგება: „პირველს, სულიერ საზრდოს დედაენა უნდა აძლევდეს ბავშვს და როდესაც ეს საზრდო გაამაგრებს მის გონებას, მაშინ დედაენა უნდა გახდეს საძირკველი , რომელზედაც აშენდება უცხო ენათა გონივრული შეთვისება“. (ბოჯგუა გ, 2015: 3)

ილია ჭავჭავაძე ამბობდა:-„ სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამ-პაპათაგან;- მამული, ენა სარწმუნოება“. ქართველ პოეტთა ამ რიცხვს მიეკუთვნება იოსებ ნონეშვილიც, რომელმაც თავისი ომახიანი და მჟღერი ხმით განუცხადა ქართველ ხალხს ქართული ენის სიყვარულისკენ მოწოდება, რომელსაც ემსახურებოდნენ თავიანთი წინამორბედი პოეტები.

„თუ დედაენით არ ხარ გაზრდილი“- ამ ლექსში პოეტმა უმაღლეს კვარცხლბეკზე აიყვანა იაკობ გოგებაშვილის უწმინდესი საგანძური „ დედაენა“ და თავისი ავტორი, თვით „დიდი იაკობი" , წიგნი, რომელსაც თავისი ძალით შეეძლო მტრის შუქის ჩაქრობა და გულში სითბოს დანთება:

შენ „დედაენით“ მწუხრს მიჰკაფავდი,
სიძნელეს გზისას არად აგდებდი.
როგორც ილიას, ვაჟას, აკაკის
გშვენის დიდების შარავანდედი.

იოსებ ნონეშვილის სიტყვებით დედაენა- ეს არ არის მხოლოდ წიგნი. იგია ქართველთა ფარი, რომელსაც მუდამჟამს შეუძლია საქართველოს გადარჩენა და წმიდათა წმიდა ლამპარია, რომელსაც ასევე შეუძლია გამოიყვანოს სამშობლო ღამის წყვდიადიდან. პოეტი შემდეგი სიტყვებით ამკობს იაკობ გოგებაშვილს:

ვინა სთქვა, ვითომ ბედმა დაგვცინა,
ძე არ გაღირსა, როგორც ილიას,
ვისაც მამულის მადლი აცხია
შენი ძე არის, შენი შვილია.

პოეტს ვერ წარმოუდგენია დედაენის სიყვარულის გარეშე ცხოვრება, მისი დავიწყება, იმ სიტყვების დავიწყება, რომლებიც ამკობენ და ამშვენებენ მშობელ ქვეყანს:

„ჩვენ გვიყვარს წიგნი სიტყვახატული,
განა სიტყვები?... ნატვრის თვლებია.
თუ დაივიწყე ენა ქართული,
მაშ, საქართველო დაგვიწყებია...“

პოეტი იმედიანად არის განწყობილი და იცის, რომ საქართველოში არასოდეს დაივიწყებენ იაკობ გოგებაშვილს და მის „დედაენას“. მისი ძალით აღიზრდება მრავალი თაობა:

„განა რა ძალით დაიკეცება
ან ეს ტრამალი, ან ეს ჩვენი ცა...
მოდგმიდან მოდგმას გადაეცემა
შრიალი შენი „დედაენისა“

ქართულ ენას მიუძღვნა პოეტმა ლექსი „ ჩვენი ქართული- სიტყვაქარგული“. ამ ლექსში პოეტი მგზნებარე ემოციით გამოხატავს ქართული ენის სიტკბოებას და აქებს მას:

სიტყვა ფრთიანი, ნაპერწკლიანი,
ბარაქიანი ქართული ენა.

ამ სიტყვებით პოეტმა გამოხატა ქართული ენის სიდიადე. იგი მიმართავს ადამიანებს დაიცვან და უყვარდეთ ენა-ქართული, როგორც მშობელი დედა:

ჩვენ ხომ მას დედაენას ვეძახით,
გვიყვარდეს, როგორც მშობელი დედა.

განსაკუთრებული მადლიერებით იხსენებს იოსებ ნონეშვილი იმ ქართველ დედებს, რომლებიც უცხოეთის ცის ქვეშაც არ ივიწყებენ მშობლიურ ენას, საკუთარ ეროვნებას და შვილებს შთააგონებენ, რომ არიან ქართული მოდგმის:

კურთხეულ იყოს დედა ქართველი,
თქვენ რომ ეძახით ნენეს ალერსით,
მისი ჭაღარა თმების ნათელი
ნამუსის შუქად გიდგათ თვალებში.

ქართულმა ენამ ეროვნება შეუნარჩუნა უცხოეთში გადახვეწილ ქართველებს. „ნენე“ იყოს ის შუქურა, რომელიც გზას უნათებდა მომავალ თაობას, არ აძლევდა გადაჯიშების, წინაპართა ენის დაკარგვის საშუალებას. 1968 წელს პოეტმა თურქეთში იმოგზაურა და თან ჩამოიტანა „თურქეთის საქართველოში“ მცხოვრებთა უკურნებელი სევდა. თურქეთის შთაბეჭდილებებზე შექმნილ პატრიოტულ ლექსებში („თურქეთის ქართველებთან“, „ნენე“)გამოსჭვივის დიდი გულისტკივილი საქართველოს „ მოჭრილი ძუძუს“ გამო, აზიის ცის ქვეშ ღვთის ანაბარად დარჩენილი შატბერდისა და ხახულის გამო, იგი მადლობას სწირავს ქართული სულის უკვდავების სიმბოლოს- დედას(ნენეს), რომ შვილებს აკვნიდანვე შეასწავლა მშობლიური ენა, მადლობას სწირავს მასპინძლებს „ტანჯვით შენახულ, მალვით შენახულ ქართველობისათვის“ და მოწიწებით იხრის ქედს რა ნენეს წინაშე, მკითხველს მომავლის იმედსაც უნთებს სულში(მიშველაძე რ, 1998:368)

ნენე მალვითა და ტანჯვით ინახავდა ქართველობას.ეს მოტივი კულმინაციას აღწევს ბრწყინვალე ლექსში „ნენე“. მასში ყველაზე მწვავე და ტკივილიანი პრობლემა საოცრად ტაქტიანად, უბრალოდ, ადამიანურად, ყოველგვარი პათეტიკის გარეშეა დასმული და გადაჭრილიც: სანამ ქართველი დედა არსებობს, ქართული ენა და ქართული გენი არ გაქრება, ქართული კერა არ გაცივდება:

„-მოდი, გვერდით დამიჯექ,
მხარი დამიმშვენე,
დედაენა, ხატიჯევ,
ვინ გასწავლა?- ნენემ!..
ბიჭო, ბიჭო, ჰასანავ,
აბა გაიხსენე,
ქართული ვინ გასწავლა?
-ნენემ!
-გახსენება რად გინდა
ან რა დაგვავიწყებს,
ნენეს თბილი კალთიდან
ცხოვრების გზას ვიწყებთ.

ნენეს ძველი თქმულება

გულში უდევს ბოღმად,

ნენე გვეჩურჩულება,

ვართ ქართული მოდგმა...

-იმ დედას გაუმარჯოს,

თქვენ ნენედ რომ უხმობთ,

ვისით გული გულადობს,

მისით მუხლი მუხლობს.

რა ვთქვათ მისდა საქებრად

ვიდრე ის გვყავს, მჯერა

ქართული არ გაქრება

არ ჩაქრება კერა!“

დ ა ს კ ვ ნ ა

იოსებ ნონეშვილის პოეზია - ესაა ჩვენი ცხოვრების ჰიმნი, სიცოცხლის ჰიმნი, ჩვენი სინამდვილის განმტკიცების, ადამიანის დაუსრულებელ შესაძლებლობათა სიხარული და აღმაფრენა. მისი პოეზია სავსეა გრძნობითა და ვნებით, მზითა და ხალისით. მის პოეზიას ძირებად და ფესვებად აქვს მრავალსაუკუნოვანი ქართული პოეტური სიტყვა.

თავისი პოეტური კრედო პოეტმა თვითონ გამოთქვა: „ ქართულ კლასიკური პოეზიის მშვენიერ ტრადიციისადმი თანამედროვეობაზე გულისხმიერი საუბარი ჩემს პოეტურ მოვალეობად მიმაჩნია“. მის შემოქმედებაში ერთ მთლიანად დანაშევრად მოჩანს ხან ღრუბლებში ამაღლებული და ხან ვეება მდინარესავით მდორედ მავალი, აშკარად გამოკვეთილი, მჟღერი, მაჟორული ნოტი- იგი გარემოების საყვირი, ბუკი და ნაღარა გახლავთ. (მაღრაძე ე, 1983: 7)

მის შემოქმედებაში ერთნაირ ასახვას პოულობს თანამედროვე ქალაქისა და სოფლის მღელვარე ცხოვრება. იგი სულით ხორცამდე პოეტი გახლავთ, უშურველი და უანგარო. იოსებ ნონეშვილი თავმდაბალია, გულუბრყვილო, უზადოდ კეთილი და გულანთებული პატრიოტი.

ცხოვრების სიმძიმე ადრიდან დაობლებულმა იოსებმა ბავშვობაშივე იგრძნო და იგემა. სხვის ხელში შემყურეს და სხვის კიბეებზე ამავალ- ჩამავალს, ან კი რა უნდა ჰქონოდა სასიხარულო. მრისხანე ომმა ჭაბუკობაშივე უწია . პოეტმა თავისი ვალი ქვეყნისა და ხალხის წინაშე პირნათლად მოიხადა, დაბრუნდა და ნაჭრილობევი და ნახანძრალი ქვეყნის აღმშენებლობის აღდგენის და შრომით ფერხულში ჩაება. დგას მის მერე ერთგულად მწერლის დაზგასთან და სამშობლოს თავისი მჟღერი ლექსებით ემსახურება. რაც იწვნია, განიცადა, იგემა და იგრძნო ყველაფერი გულისა და გონების ქურაში გამომწვარი მიაქვს მკითხველამდე.

სამამულო ომის მრისხანე წლებში პოეტი სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა. იგი თავისი წინაპარი მაჩაბელივით უშიშრად უძღოდა წინ თანამებრძოლებს და მათ ხალისიანი და ომახიანი ლექსებით ამხნევებდა.

პოეტს ღრმად სწამს და სჯერა რომ ბოლოსდაბოლოს ადამიანის გონების ძალამ, მისმა ნათელმა უნდა გაიმარჯვოს ბნელზე, დაამარცხოს და დათრგუნოს უმეცრება და ყველანაირი ბოროტება.

რაც ჩვენს მზისქვეშეთში ხდება, პოეტისათვის უცხო არაფერია, მის მახვილ თვალს შეუმჩნეველი არაფერი რჩება. ის ბევრს მოგზაურობს, ათასი სჯულის, რასის და წოდების, საზოგადოებრივი წრისა და სოციალური კიბის სხვადასხვა საფეხურზე მდგომთ ხვდება და თავის შეხედულებებს ამ შეხვედრის წყალობითაც აყალიბებს.

პოეტს თავდავიწყებით უყვარს თავისი ხალხი, უმღერის გმირულ შემართებას, მის სულიერ სიწმინდეს, მის წარსულს, აწმყოსა და ნათელ მომავალს. მას არასოდეს ავიწყდება, რომ ცხოვრებას აქვს თავისი უარყოფითი მხარეები და ისიც ხმალშემართული იბრძვის მათ აღმოსაფხვრელად.

იოსებ ნონეშვილის ლექსებში უხვადაა მიმობნეული შედარებები, მეტაფორები, ფრთიანი ფრაზები, ისინი ყანას მოდებულ წითლად მოხასხასე ყაყაჩოებივით არიან, ელვარებენ და განუმეორებელ ანდამატსა და ეშხს ანიჭებენ მის ლექსებს. პოეტს ღრმად სწამს და სჯერა, რომ მისი ქვეყანა სასიკეთო გზით მიემართება, ამიტომაა მისი სიმღერა ლაღი და ხმიერი. მისი სასოება და ოცნება ამაღლებული და ზეცის თვალებში ლაღად მონავარდეა.

იოსებ ნონეშვილი მოთაყვანეა საკუთარი ოჯახისა, ლექისა, ჭეშმარიტი პოეზიისა, წიგნებისა, ჩვენი წარსულისა, აწმყოსი და მომავლისა, ხელოვნების ძეგლთა და ნაწარმოებთა. განურჩევლად უყვარს ყველა თავისიანი და უცხოტომელი. ტრიბუნას და კათედრასა გულგრილად ვერ ჩაუვლიდა, თუ სადმე ამგვარ საგანს წააწყდებოდა, ხალხიც რომ არ ყოფილიყო, ზედ შედგებოდა, მოსინჯავდა, მიკროფონს გაეთამაშებოდა... იგი უშუალო, გულღია და პირდაპირი იყო, ამიტომ იგი ყველასთან ამყარებდა ურთიერთობას, იმათთანაც კი, ვისი სალაპარაკო ენაც არ ესმოდა.

ერთადერთი რამ რაც ცხოვრებაში ეზიზღება, ეჯავრება და ვერ იტანს ყოველგვარი ძალადობა გახლავთ. იოსებ ნონეშვილი გულისხმიერია, სხვათა სულის წუხილის გამგები, ახლობელთათვის თანამგრძნობი, მოყვასისათვის დიდად გულშემატკივარი. გულისხმიერების გამოსავლენად არც თხოვნა სჭირდებოდა, არც გადაკვრით თქმა, არც

საყვედური. იგი ეხმარება ადამიანს, თავის უპირველეს შინაგან მოთხოვნას იკმაყოფილებს და ამისთვის პოეტი საკუთარ სულიერ ავტორიტეტს იმეტებს დასახარჯად. სულიერი ავტორიტეტი კი მოსაპოვებლადა ძნელი, თორემ დასახარჯად სრულიად იოლი რამ გახლავთ. პოეტმა იცოდა, რომ ყოველ კუთხე-კუნჭულში იგი განუზომლად უყვარდათ და პატივს სცემდნენ, იგი ქუჩაში განურჩევლად ყველას ესალმებოდა, პოეტმა იცოდა რომ ის ხალხის სიყვარულით იყო გამორჩეული, ასეთ ბედნიერებას იგი მეფის ტახტსა და ტიტულზეც კი არ გაცვლიდა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბაიაძე ვ. „შუა გზა“ წიგნში „მწერალი და თანამედროვეობა“. საბჭოთა საქართველო. 1970 წ
2. თოფურია ა. „იოსებ ნონეშვილის ლირიკის ზოგიერთი ასპექტი“ წიგნში „ეტიუდები კრიტიკული ნააზრევიდან“ თბილისი 1940 წ
3. მაღრაძე ე. იოსებ ნონეშვილი. ტომი II. თბილისი 1983წ.
4. მიშველაძე რ. იოსებ ნონეშვილი წიგნში „სიტყვა და საქმე“ თბილისი 1987 წ
5. მხარგრძელი ს. „გზა სიყვარულმა დალია“ . „ჭოროხი“ 1978წ
6. სულაბერიძე შ. „თანამედროვე ლირიკოსთა პორტრეტები“ თბილისი 1966წ
7. მაღრაძე დ. იოსებ ნონეშვილი ასი ლექსი, გამომცემლობა „ინტელექტი“, თბილისი, 2007წ
8. ფორჩხიძე შ. „პოეტის შთაგონება“ წიგნში „ დათვნის ხეებთან“ თბილისი, 1977წ
9. ჭილაია ს. „ მიგვაცილებს ლექსების ტაში“ წიგნში „წინაპრები და მეგობრები“. გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება“. თბილისი 1964 წ.
10. ჯიბუტი ვ. „სიცოცხლის მომღერალი“ წიგნში „იდეები და სახეები“. თბილისი 1982
11. https://www.youtube.com/watch?v=pE2A6Ki6PZk&feature=share&fbclid=IwAR0nFRhK5CFNuLfN8zP9xX_CdExuJdFsI6Pc3YlC-1YVmaNgqx3AeCtRbJg